ბაზიერი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№207 (266) 5-12 თებერვალი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

შეშინებულ ნაციონალთა მორიგი ბოდვა

მოკლედ, როგორც ადამიანის უტიფრობას, ასევე მის სისულელესაც არა აქვს საზღვარი, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი კლინიკური სულელია და მისი გამოჯანსაღების შანსი ნულის ტოლია.

ნაციონალთა სისულელის მიმანიშნებელია ის, რომ უტიფრად ცრუობენ და, რაც მთავარია, თავადვე სჯერათ საკუთარი სიცრუის.

ყველა ერს ჰყავს თავისი მუცლითმეზღაპრე, რომელიც, როგორც წესი, სახალისო პერსონაჟად არის მიჩნეული. ევროპელებისათვის ესაა ბარონი მიუნჰაუზენი და ავანტიურისტი ფელიქს კრული, რუსებისათვის – გოგოლის პერსონაჟი – **“რევიზორი”**, ქართველებისათვის – კვაჭი კვაჭანტირაძე, ყვარყვარე თუთაბერი და ბათა ქექია, აზიელებისათვის – მოლა ნასრედინი და ა.შ. და, აი, ქართველებს დაემატათ ახალი **“მუცლითმეზღაპრე”** პერსონაჟი – მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც მყარად სჯერა თავისი სისულეებისა და იმედი აქვს, რომ მისი ნაბოდვარი აუცილებლად ახდება.

ერთ-ერთი ასეთი ბოდვითი იდეა გახლავთ ნატოში გაწევრიანება, რომლის სურვილიც იმდენად აგრესიულად აქვს მოძალებული პაციენტს, რომ მისი გადარწმუნება უკვე აზრს ჰკარგავს!

ამიტომ, წინასწარ გაფრთხილებთ: დიდად ნუ შეეწინააღმდეგებით პაციენტს ამ იდეაფიქსის რეალობად წარმოჩენის მორიგი მცდელობისას, თორემ სინდრომი კიდევ უფრო გაძლიერდება, რამაც შეიძლება რუსეთთან მორიგ ომამდე მიგვიყვანოს, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის, ყველა სავალალო შედეგით...

ამის მაგალითი არ გაგვაჩნია თუ რა?!

არ ვიცი, ასეთი რა ასწავლეს სააკაშვილს კოლუმბიის უნივერსიტეტში, მაგრამ კონსტიტუციის ჭრა-კერვის ფაკულტეტი რომ **“წითელ დიპლომზე”** აქვს დამთავრებული – ფაქტია.

ამიტომ, არავის გაკვირვებია სააკაშვილის მორიგი **“საკონსტიტუციო ინიციატივა”**, როცა მან ჩვეული რიხიანი სიჯიუტით განაცხადა: ქვეყნის კონსტიტუციაში გარკვეით უნდა ჩაიწეროს, რომ ქვეყანა მხოლოდ დასავლური მიმართულებით ივლისო.

მხოლოდ ერთი რამ არ დაუზუსტებია ამ მუცლითმეზღაპრეს – რა იგულისხმება სიტყვა **“დასავლეთში”** – გეოგრაფიული თუ მენტალური ორიენტირი. ამის დაზუსტება კი აუცილებელია, რათა თვით ამ **“კანონშემოქმედს”** არ შეექმნას გარკვეული პრობლემა, და თუ რატომ, ამას ახლავე აგიხსნით.

გეოგრაფიულად დასავლეთში ევროპა და ამერიკა იგულისხმება, და თუ კონსტიტუციაში ეს სიტყვა დამკვიდრდება როგორც გეოგრაფიული მცნება, იგი უკვე კანონის სახეს მიიღებს. კონსტიტუციით დამტკიცებული კანონიდან ოდნავი გადახრა კი სისხლის სამართლის დანაშაული გახლავთ. ამდენად, სააკაშვილის მტკიცება ქვეყნის **“სინგაპურიზაციის”** თაობაზე საფრთხის მომცველი იქნება თავად მიხეილ სააკაშვილისათვის, რადგან სინგაპური სამყაროს აზიურ ნაწილში მდებარეობს და მისკენ ორიენტირის აღება უკვე თავისთავად ნიშნავს ქვეყნის კონსტიტუციური ნორმებიდან დანაშაულებრივ გადახრას!

გაიგეთ, რამე, ამ კალამბურად ქცეული პოლიტიკური ფორმულიდან, ძვირფასო მკითხველო!

სიმართლე გითხრათ, მე ვერაფერი გავიგე!

თუ ეს ცვლილება იმის შიშით არის განპირობებული, რომ ქვეყანამ კურსი რუსეთისაკენ არ აიღოსო, მაშინ თავად რატომ დაუთმეს ყველა ქართული სტრატეგიული ობიექტი რუსებს? ახლა კი, მართლაც რომ ავიღოთ კურსი რუსეთისაკენ, მათთვის მისაცემი აღარაფერი დაგვრჩა – აქეთ თუ გამოვემათხოვრებით რამეს!

ვერ გავიგე ისიც, თუ ამდენი სულელური ცვლილება რატომ შეიტანეს სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა ქვეყნის კონსტიტუციაში!

დარწმუნებით მხოლოდ ის ვიცი, რომ უაზრო გადაწყვეტილებებსა და ნაბიჯებს იმ დიდ სისულელემდე მივყავართ, რასაც ღღევანდელი კონსტიტუცია ჰქვია და, ამდენად, სულაც არ არის საჭირო მასში რაღაც დამატებითი სისულელეების შეტანა, მაგრამ ისიც საკითხავია: ქვეყნის კონსტიუტუციისადმი ამგვარი **“მომხმარებლური”** დამოკიდებულება მართლაც სისულელისა და არაკომპეტენტურობის შედეგი იყო თუ შეურაცხადი სააკაშვილის დიქტატორული უფლებებით აღჭურვის კამპანიის ნაწილი.

სააკაშვილის არანორმალური ამბიციების დასაკმაყოფილებლად სულაც არ იყო საჭირო კონსტიტუციით ამგვარი კენწლაობა. უნდა ჩაეწერათ ერთი პუნქტი: **“ვიდრე შეურაცხადი სააკაშვილი ცოცხლია, იგი მუდამ ქვეყნის მეთაურის პოსტზე უნდა დარჩესო”!**

ამ მართლაც შეურაცხადსა და მის დამქაშებს იმდენად ჰყავდათ ქართველი ხალხი დაბეჩავებული, რომ მალე ამგვარ თავხედურ ცვლილებასაც შეიტანდნენ ქვეყნის კონსტიტუციაში!

ტოტალური სიცრუიდან ტოტალურ სისულელემდე ხომ ერთი ნაბიჯია...

საბედნიეროდ, სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმა ვერ მოასწრეს ნარკოტიკებისაგან თუ ალკოჰოლისაგან ტვინგაწყალებულმა სააკაშვილმა და მისმა ანგარებიანმა დამქაშებმა, თორემ მათ მიერვე გაწუწკებული დასავლეთის მხარდაჭერა რომ გარანტირებული ექნებოდათ, ამაში უკვე არავის ეპარება ეჭვი!

სააკაშვილი მათთვის ყოველთვის იყო **“ჩვენი ძაღლისშვილი”** და ყოველთვის დარჩება ამად. ამიტომაც ხუჭავდნენ თვალს მის მიერ ჩადენილ ყოველგვარ უმსგავსოებაზე, ზუსტად ისე, როგორც თვალს ხუჭავდნენ სადამ ჰუსეინის, ხოსნი მუბარაქის, მუამარ კადაფის უმსგავსოებებზე, ვიდრე ისინი ამერიკელთა **“ძაღლისშვილები”** იყვნენ.

ამიტომაც მიიჩქარის დასავლეთისაკენ მართლა შეურაცხადი სააკაშვილი, რადგან მისი პერსონისადმი ზიზღმორეულ საქართველოში უკვე ნამდვილად აღარ დაედგომება!

რადგან მან შეგღალა დამოუკიდებელი სახელმწიფოს წმინდა სამება: ღერბი, დროშა და ჰიმნი!

ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ცოცხი და ხელკეტი აქცია მან საქართველოს ღერბად!

ავადსახსენებელი შუა საუკუნეების ჯვაროსნების დროშა გადააფარა გულზე საქართველოს!

ხოლო სახელმწიფო ჰიმნიდან საბოლოოდ გააძრო სიტყვა “საქართველო”!

საქართველოს რომელ დაუძინებელ მტერს ჩაუდენია ჩვენი სამშობლოს მიმართ ამგვარი სიბოროტე?

ვერავის ვიხსენებ, ვინც ასე მეთოდურად ასრულებდა საქართველოს განადგურების დავალებას!

ამ ყველაფერს დაუმატეთ მრავალგზის გამოშიგნული და გაუპატიურებული საქართველოს კონსტიტუცია და ერთხელ მაინც დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა: ვართ კი ქართველები სახელმწიფოს ღირსი?

მე ამ შეკითხვაზე მყარი პასუხი არ გამაჩნია, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები მიტრიალებენ თავში!

კინოფილმ **“შერეკილებში”** ხუტა ციხის უფროსი რომ ამბობს **“ბიძია-ბაბუაზე”** – **“ვერ მოვაშორე ამ ქვას ეგ გასაქვავებელიო”,** სწორედ ასეა მიხეილ სააკაშვილის საქმე: **“ვერა და ვერ მოვაშორეთ კონსტიტუციას ეგ მართლა შეურაცხადი”**!

თევზაძისეულ **“რაგატკასავით”** აქვს მომარჯვებული ქვეყნის კონსტიტუცია და ხან ხალხს მიუშვერს სასროლად, ხანაც პოლიტიკურ ოპონენტებს!

დიახაც რომ საშიშია იარაღი გიჟის ხელში!

ლამის კონსტიტუციაში შეატანინოს პარლამენტს, თუ სად საზოგადოებრივი ტუალეტი დადგან, სად ორსაჭიანი ველოსიპედი და სად კვერცხებზე წამოყანთრული **“შლოპანცები”,** და, რაც მთავარია, როდის ჩამოიყვანონ სულით ხორცამდე გახრწნილი სააკაშვილის საამებლად მასაჟისტი ქალი დოტი, მომღერალი შაკირა თუ სხვა მისნაირი არარაობები!

მილიონებს ხარჯავდა სააკაშვილი თავისი ხუშტურების დასაკმაყოფილებლად – ქვეყნის კონსტიტუციაც ფეხებზე ეკიდა, პარლამენტიც და მთავრობაც!

ყველანი მისი ყურმოჭრილი მონები იყვნენ!

მერე ჩვენვე გვიკვირს – ევროპელები შემდგარ სახელმწიფოდ არ გვაღიარებენ, აგდებულად გვექცევიან და თანაც მწარედ დაგვცინიან, რადგან, მათი აზრით, თურმე ერთმანეთისგან ვერ გაგვიმიჯნავს ორი მცნება – კონსტიტუცია და პროსტიტუციაო!

პროსტიტუცია ხომ საკუთარი თავით ვაჭრობას ნიშნავს. კონსტიტუციისადმი აგდებული დამოკიდებულება კი საფრანგეთის **“მეფე-მზე”** ლუდოვიკო მეთოთხმეტის ცნობილ დეკლარაციას გვაგონებს: **“სახელმწიფო მე ვარ”**! და თუ მიშა-შეურაცხადს თავისი თავი საქართველოს სახელმწიფოდ მიაჩნია, გამოდის რომ იგი მთავარი **“პროსტიტუტკაა”**, რადგან დაურიდებლად და ურცხვად ვაჭრობს თავისი სხეულით – საქართველოთი!

ამას კი ნამდვილად არ იმსახურებს ხუთიათასწლიანი ცივილიზაციის მქონე ქვეყანა, მაგრამ როცა ჩვენივე უნიათობით საქართველოს თავზე წამოაჯდა გაუნათლებელი დემაგოგი სააკაშვილი, რა გასაკვირია, რომ ჩვენც სააკაშვილისნაირი უმეცრები ვეგონოთ ევროპელებს!

მგონი ახლა კი გავიგეთ რაღაცრაღაცეები!

გავიგეთ ის, რომ სააკაშვილის მიერ შეკოწიწებული **“დემოკრატიული”** საქართველო სრული პოლიტიკური ბლეფი და არარაობაა!

გავიგეთ ისიც, რომ სააკაშვილი, როგორც საქართველო (ლუდოვიკო მე-14 არ იყოს) – სრული არარაობაა!

გავიგეთ ისიც, რომ **“ნაციონალური მოძრაობა”** სააკაშვილის დამქაშებიანად – სრული არარაობაა!

გავიგეთ ისიც, რომ მთელი მისი პოლიტიკური გარემოცვა სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან – ადეიშვილი, შაშკინი, ახალაიები, თოფურიძე, კეზერაშვილი, ჩოჩელი, გუნავა, ქარდავა... ახლა უგულავასაც იხმობენ გამომძიებლები, რათა სახელმწიფო ბიუჯეტის (უფრო სწორად, ჩვენი ჯიბეებიდან ამოღებული უსაშველოდ გაზრდილი ნაგვის გადასახადით აკრებილი) თანხების დანაშაულებრივად გაფლანგვასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე გასცეს პასუხი. და ამ დამნაშავეთა რიცხვი ბევრად უფრო გაიზრდება მაშინ, როცა **“ნაციონალთა”** ყველა შავბნელი საქმეები გამომზიურდება!

ღღეს უკვე ეჭვიც არავის ეპარება, რომ ყველაზე დიდი დამნაშავე სწორედ პრეზიდენტყოფილი სააკაშვილია, რადგან ქვეყანაში ყველა უკანონობა მისი ბოროტ ნებით კეთდებოდა. სწორედ იგი უბიძგებდა მის მორჩილ ჩინოვნიკებს მძიმე სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენისაკენ, რათა მათზე მაკომპრომენტირებელი მასალები ჰქონოდა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მკაცრად გასწორებოდა **“ამბოხებულებს”**. ასე აღმოჩნდნენ ციხეებში ერთ დროს მიხეილ სააკაშვილის მორჩილი ოქრუაშვილი, ქიტოშვილი, ქარელი, ქართველი გენერლები, სხვა მაღალჩინოსნები...

ნაცვლად იმისა, რომ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შევარდნაძის მიერ დაბინძურებული პოლიტიკური სივრციდან ნაგავი გაეტანა, სააკაშვილმა მას ახალი, უფრო მყრალი ნაგავი დაუმატა და კორპორატიული ინტერესები ქვეყნის მართვის მთავარ ინსტრუმენტად აქცია. ქვეყნის ეკონომიკა, ძალოვანი სტრუქტურები, სასამართლოები და სხვა სტრატეგიული უწყებები სწრაფად ჩაიგდეს ხელში **“ნაციონალებმა”,** მონოპოლისტებმა ფართოდ გაშალეს ფრთები, სახელმწიფო კაპიტალიზმმა არნახული გაქანება მიიღო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო ინიციატივას, რომ ქვეყნის საგარეო კურსის შესახებ ჩანაწერი გაკეთდეს კონსტიტუციაში, არასერიოზულად და მათთვის ჩვეულ პიარად მიიჩნევს და სერიოზულად არ აღიქვამს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, **“ნაციონალური მოძრაობა”** იმდენ სიცრუეს აფრქვევს, რომ მათ წინადადებებს სერიოზულად არ აღიქვამს და მომავალში **აღარ აპირებს მათთან “პოლიტიკური პინგ-პონგის”** თამაშს.

“უმცირესობის ინიციატივებს მე აღარ ვღებულობ სერიოზულად. იმდენ სიცრუეს აჟღერებენ და ისეთი ყალბები გახდნენ, რომ მაგათზე მეტს სერიოზულად ვერ ვილაპარაკებ”, – განუცხადა ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილმა.

ახლა სააკაშვილს მის მიერვე კონსტიტუციაში თვითნებურად და ყალბად ჩანაწერი პუნქტის იმედი აქვს, რითიც მას შეუძლია საკუთარი ხუშტურით დაითხოვოს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და მთავრობა და მის მიერ შეკოწიწებული მთავრობით ჩაატაროს რიგგარეშე არჩევნები, რაც თავიდანვე მის გაყალბებას ნიშნავს. მაგრამ სააკაშვილს ავიწყდება ერთი ჭეშმარიტება, რომ არსებობს ქართველი ხალხი, რომელმაც არჩევნებზე უარი უთხრა სააკაშვილის საძულველ ფაშისტურ ხელისუფლებას.

სწორედ ეს ხალხი მოუღებს ბოლოს სააკაშვილს და მის ნაციონალურ ბანდას!

რ. ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს
აკადემიების წევრი

მოგზაურობანი

აფხაზეთი

საბარაკო მიწების შესაძენად გამართული შეჯიბრი. – სოფელი "მაიაკი" და მეგრელთა თავგადასავალი. – გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მამული. – მეგრელი მოიჯარადრე. – ათვალისწინებული აფხაზეთი და 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალოს ომი. – თუთუნის თესვის შემოღება აფხაზეთში.

შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი, იქ, სადაც ერთ დროს ბერძენთა და რომაელთა სავაჭრო ახალშენები იყო, დღეს კვლავ იბრუნებს წარსულ სახელსა და დიდებას, კვლავ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. წინათ აქ ბერძენ-რომაელთა ცენტრი იყო აღმოსავლეთთან სავაჭრო საქმეთა დასაჭერად; დღეს იგივე ადგილები საზამთრო კურორტებად არის გადაქცეული. სულ ათიოდე წელიწადია, რაც სოხუმის თბილმა ჰაერმა, მისმა წარმტაცმა ბუნებამ ამ ქალაქში რუსეთიდან ხალხი მოიზიდა. ბევრი აღმოჩნდა აქ მიწების შეძენის და დასახლკარების მსურველი. განვლო ხანმა და ფასები დაედო სოხუმის გარეშე მდებარე ადგილებსაც. მყიდველები გამოუჩნდნენ მთელი შავი ზღვის პირას მდებარე ადგილებსაც, სოხუმიდან მოკიდებული ვიდრე ნოვოროსსიისკამდე. ამ გარემოებას ხელი შეუწყო ნოვოროსსისკიდან სოხუმამდე გზატკეცილის გაყვანამაც. ის მხარე, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გაუვალ ტყეს მიჰქონდა, დღეს აგარაკებად არის გადაქცეული, და აქ საკუთრების შეძენის მსურველთა რიცხვი არა თუ კლებულობს, დღითი-დღე იზრდება. ამ მისწრაფებას სულს უდგამს და აღაფრთოვანებს იმედი მომავლის რკინის გზისა, რომელმაც მისვლა-მოსვლა უნდა გააადვილოს ერთმანეთზე დაშორებულ ადგილთა შორის.

აფხაზეთს ახალი ხანა დაუდგა, რომელმაც ძირიანად უნდა შეუცვალოს ფერი მის პირველყოფილ ცხოვრებას. ვისაც აქეთკენ ამ ოცი წლის წინათ უმოგზაურია, ახლა ვერც კი დაიჯერებს, თუ ეს მხარე მოკლე ხნის განმავლობაში ასე გამოიცვალა. აჭრელდნენ მცხოვრებნი, აჭრელდა ეთნიური შემადგენლობა. გესმით რუსული, ქართული, ბერძნული, სომხური; მეგრული ყაბალახი, ოსმალური ფესი, რუსული კარტუზი – ერთმანეთშია აქ არეული. აქაურობას რომ ყურს უგდებთ, თქვენს თავს ეკითხებით, ეს მკვიდრი ამ ქვეყნისა რაღა იქნა? როგორ მოხდა, რომ მის სუფრას სხვები მოსხდომიანო!.. მათ სანახავად კი მთელი ორმოცი კილომეტრი და მეტიც უნდა გაიაროთ გზატკეცილით.

ოქტომბრის შუა რიცხვები იყო, სოხუმიდან გაგრისკენ ეტლით რომ გავედით ცნობილი ფრანგი მოგზაური ბარონ დეგბაი და ამ სტრიქონების დამწერი. მიუხედავად შემოდგომისა, მცენარეულობას თავის მწვანე ხასხასა ფერი ისევ შეუცვლელი ჰქონდა. მზის სხივები ისე ათბობდა ქვეყანას, გეგონებოდათ, ზაფხულის პირას ვართო. გზატკეცილი ზღვის პირის გაყოლებით მიიკლაკნება. სოხუმიდან მეოთხე კილომეტრზე თავდება ქალაქის გარეუბანი, ციებ-ცხელებიანი, გუბეებიანი...

სწორედ ამ ჭაობებზე, ხშირ ტყეში, მეგრელებს თავიანთი საცოდავი ფაცხები წამოუდგამთ, ჰკვირობთ და ვერ მიმხვდარხართ, რამ გააბედვინა ამ საცოდავებს ამ ციებ-ცხელების ბუდეში დასახლკარებულიყვნენო!.. ჩამომხმარ-გაყვითლებულ სახეებზე ამოიკითხავთ მთელ ტანჯვას, მთელ წვალებას, რაც ამათ უნდა გამოევლოთ. ამ ოცი წლის წინათ 25 კომლ მეგრელს თავი დაუნებებია სენაკის მაზრისათვის, სადაც ისინი მოთმინებიდან გამოუყვანია უმიწობას, ძალდუმადურ ცხოვრებას,– სოხუმის ოლქში გადმოხვეწილან ბედის საძიებლად. უვლიათ უგზოუკვლოდ და სხვა გზა რომ არა ჰქონიათ, ამ ადგილზე გადაუწყვეტიათ სამუდამოდ დამყარება.

ეს ადგილები ქალაქისა იყო, მაგრამ რადგან ურგები და ჭაობიანი იყო, ზედ არავინ სახლდებოდა. კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ქალაქს უფასოდ უნდა მიეზომა ას დესეტინაზე მეტი რუს მატროსებისათვის, რომ მეთევზეობა გაევრცელებინათ სოხუმში. მაგრამ მატროსთაგანი არავინ აღმოჩენილა აქ დასახლების მსურველი. მაშინ ზემოხსენებულმა მეგრელებმა ქალაქს უთხრეს: მაინც ხომ არავინ ესახლება ამ მიწაზე, და გთხოვთ იჯარით მოგვცეთ სახნავ-სათესადო. ქალაქსაც ჭკუაში დაუჯდა უსარგებლო მიწების გამოყენება და თანხმობა გამოუცხადა. მეგრელებმა მხნედ მოჰკიდეს ხელი საქმეს. ტყე, რაც შეეძლოთ, გაჰკაფეს, ჭაობები დააშრეს, გაიჩინეს სახნავ-სათესი, გააშენეს ვენახი და გაჩნდა ეგრეთ-წოდებული სოფელი **"მაიაკი"**. ქალაქს დესეტინაზე ექვს მანეთს იჯარის ფულს აძლევდნენ წლიურად და თვითონაც წლითი-წლობამდე იოლად გამოსვლას ახერხებდნენ, მაგრამ სოხუმში თვითმმართველობა რომ შემოვიდა, სოხუმის მაშინდელმა პატრონმა და ბატონმა ბერენსმა აითვალისწინა ისედაც ყველასაგან ათვალწუნებული მეგრელები და უთხრა – აქედან მიბრძანდით, მატროსები უნდა დავასახლოთ ამ მიწებზეო. მეგრელებმა მოახსენეს: ოცი წელიწადია ჩვენი ძალღონე აქაურობის გაწმენდას, ციებ-ცხელებასთან ბრძოლას შევალიეთ და ახლა მზა-მზარეულზე სხვები უნდა დაასახლოთო?! ეგ თუნდ არაფერი, მატროსებიც რომ არსად არიან ჯერ, რადად დგებით ჩვენს ცოდვაში და რათ გვიწყვეტთ ლუკმა პურსო?

მაგრამ ასეთი საბუთებით მეგრელები ფონს ვერ გავიდნენ და ძალა რომ დაადგათ, ხელმწიფე-იმპერატორს ტელეგრამითა სთხოვეს: ასეთ დღეში ვართ თქვენი ერთგული ქვეშემრდომნი და მოწყალება მოიღეთო!.. მოხდა გამოძიება, რომელიც, გვგონია, დღესაც არ დამთავრებულა. დღესაც იმის გაკეთების მოლოდინშია 25 კომლი მეგრელი, რომელთაც არ იციან, დღეს რომ თავის ღარიბულ ქოხში სძინავთ, ხვალ სად მოუხდებათ უსახლკაროდ ყოფნა, უმწეოდ ხეტიალი და ერთი მტკაველი მიწის ძებნა...

ესეც თქვენი მოკლე თავგადასავალი სოფელი **"მაიაკისა"**.

მეოთხე კილომეტრიდან იწყება გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მამული. ეს ერთადერთი მემამულე გახლდათ აფხაზეთში, რომელსაც აქაურობაზე კარგა მოზრდილი (6.000 დესეტინა სახნავ-სათესი) მამულის შეძენა და (თავი-და-თავი) შერჩენა და, ასე თუ ისე, მოვლა მოუხერხებია. უზარმაზარი ზვარი ევროპული და ადგილობრივი ჯიშის ვაზებისა, გამოცდილი მებაღის ხელმძღვანელობით სათანადოდ მოვლილი, მაყურებელს თვალს უხარებს. მაგრამ წარმოიდგინეთ, აქავ, გვერდით, მეურნეობა მეგრელი მოიჯარადრისა, რომელიც შარვაშიძისავე მამულზე დაბინავებულა. წნული ფაცხა, წნულივე, წასაქცევად გამზადებული, სასიმინდე, დაფეხვილი საღორე – აი, მთელი უძრავი ქონება აქაური მოიჯარადრე მეგრელისა.

ეზოში ერთ ხეხილის ხეს ვერ ნახავთ წამლად. ყველაფერზე ეტყობა, რომ მოიჯარადრე დროებით მოსახლეა, იჯარის ვადის გათავებას უყურებს, არ იცის, მერე რა მოელის, სად წავა, ვის მამულზე დაბინავდება. სულ იმის ფიქრშია, დღევანდელი დღე როგორ დავაღამოვო. ასეთ მედღეხვალიეთაგან არის შემდგარი სოხუმის მემამულეთა მიწაზე დაბინავებული მეგრელნი! და აბა, რა გასაკვირველია, ქართული ანდაზა – **"მედღე-ხვალიესაო უწვიმდეს და უთოვდესო"** სრულებით გამართლდეს ამ მოახალშენეებზე!..

მერვე კილომეტრზე, მდინარე გუმისტასთან, გიორგი შარვაშიძის მამული მთავრდება. ამის იქით იწყება ის ადგილები, რომელიც რუსეთიდან გადმოსულმა მდიდრებმა შეიძინეს ჩვენი მემამულეებისაგან. წინანდელი მკვიდრი აფხაზები მოკლებული იყვნენ უფლებას ქალაქ სოხუმის მახლობლად (ოცი კილომეტრის მანძილზე) დასახლებულიყვნენ, როგორც არა საიმედო ელემენტები. აბჟუაში (აღმოსავლეთ აფხაზეთში) შეეძლოთ ყოფნა მხოლოდ მდინარე კოდორის გამოღმა: ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში) მდინარე აცწყლის იქით, გაგრამდე.

მიზეზი ასეთი სასჯელისა ის გახლავთ, რომ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი (1877-1878 წლები) ომის დროს აფხაზთ თურქთა მომხრეობა დაბრალდათ. აფხაზთ რომ ჰკითხოთ, ფიცით-მტკიცით თავს იმართლებდნენ – ომის დროს უპატრონოდ დავრჩით, ჩვენს ქვეყანას თურქი შემოესია და დაეპატრონა და ორში ერთი უნდა აგვერჩია: ან თურქებს შევბრძოლებოდით, ან მათ მხარეს გადავსულიყავითო. ბრძოლის ატეხვა ჩვენი გაწყვეტით დამთავრდებოდა, და ამიტომ ისევ მათ მხარეს გადასვლა ვარჩიეთო. თურქებმა ოსმალეთში წაგვასხეს, მაგრამ იქ მწარე დღე დაგვადგა, ნახევრად გავწყდით და აქ რომ დავბრუნდით – მოღალატეებად მოგვნათლენითო. აი, ამ **"მოღალატეთა"** ადგილები გავერანებული დარჩა. დესეტინა მიწა 5-10 მანეთად ფასობდა. როცა სოხუმს ფასი დაედო, ამ ადგილებსაც მოაშურეს. დესეტინა მიწის ფასი ერთბაშად 50-60 მანეთამდე ავიდა. სოხუმში გაჩნდა მთელი ბრბო კომისიონერებისა, რომელნიც, ხუთ თუმნად რომ თვითონ ყიდულობდნენ დესეტინას, ოც, ოცდაათ და ორმოც თუმნად სხვებზე ჰყიდდნენ. ფასები დაედო განსაკუთრებით ზღვის პირას მდებარე მიწებსა; ზოგი ყიდულობდა სააგარაკოდ და ზოგიც იმისათვის, რომ რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ნაჭერ-ნაჭერ გაეყიდა ერთი-ათად და ერთი-ოცად. მთელი მათი იმედი რკინიგზაა, რომელმაც რუსეთი კავკასიას უნდა შეუერთოს. თუ გზა მალე გაიყვანეს, იმედები, გვგონი, გაუმართლდეთ, მაგრამ თუ კიდევ კარგა ხანი გავიდა მის გაყვანამდე, თქვენი მტერი, მათს იმედებს კბილი მოეჭრას!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

კალაძემ გადაწყვიტა, რომ ენგურჰესი აფხაზებთან ერთად აღადგინოს

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ გადაწყვიტა, რომ მოლაპარაკება გამართოს აფხაზებთან ენგურჰესის აღდგენასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების თაობაზე. აღნიშნული ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს აფხაზეთ-საქართველოს გამყოფ ხოლზე და იგი რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტები განთავსებული მდინარე ენგურის ორივე ნაპირზე, აუცილებელია, რომ აღდგენითი სამუშაოები ჩატარდეს აფხაზებისა და ქართველების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ამის თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო **"ინტერფაქს-აზერბაიჯანმა"**.

ენგურჰესზე ხუთი აგრეგატია, რომელთა ჯამური სიმძლავრეა 1..300 მეგავატი ელექტროენერგია. ამ ხუთი აგრეგატიდან ოთხი უკვე მთლიანად რეკონსტრუირებული და მოდერნიზებულია, მეხუთე აგრეგატზე კი ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები – განაცხადა ბატონმა კახი კალაძემ. მანვე აღნიშნა, რომ მალე დააყენებს ვარდნილჰესების აღდგენის საკითხს, რომლებიც ენგურის ჰიდროელექტროსადგურის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ.

ოთხი ელექტროსადგურის კასკადი განთავსებულია აფხაზეთში მდებარე მდინარე ერისწყალზე და ისინი მწყობრიდან გამოვიდნენ ჯერ კიდევ 1992-1993 წლების ავადსახსენებელი საომარი მოქმედებების დროს. მოგვიანებით ისინი ნაწილობრივ აღადგინეს და ამჟამად ოთხი ვარდნილჰესიდან ენერგიას გამოიმუშავებს მხოლოდ ერთი, რაც აშკარად არ არის საკმარისი.

ენგურჰესი, რომელიც გამოიმუშავებს საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის თითქმის ნახევარს, ექსპლოატაციაში გაშვებული იქნა 1978 წელს. ეს გახლდათ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამკვრელური მშენებლობა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც საბჭოთა, ასევე უცხოელი სპეციალისტები. მაშინ, როცა ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში მიმდინარეობდა, არავის უქმნიდა უხერხულობას ის ამბავი, რომ ჰესის ნაგებობათა ნაწილი (კაშხალი, წყალმიმღები სისტემები და გვირაბის ნაწილი) მდებარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე, მეორე ნაწილი კი (გვირაბის ნაწილი, ჰიდროელექტროსადგურის შენობები) განთავსებული გახლდათ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

სამწუხაროა, რომ ავარიული მდგომარეობის გამო, უკანასკნელ პერიოდში, ელექტროსადგურის აგრეგატები საპროექტო სიმძლავრის მხოლოდ 50-პროცენტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ამ სიმძლავრეთა 40 პროცენტს აფხაზეთი მოიხმარს, სამოც პროცენტს კი საქართველო.

2008 წლის აგვისტოში, სააკაშვილის ხროვის მიერ წამოწყებული პროვოკაციული ომის შემდეგ, რაც კატასტროფულად დამთავრდა საქართველოსათვის, ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტრომ რუსეთის კომპანია **"ინტერ რაო"**-სთან გააფორმა სათანადო მემორანდუმი ენგურჰესის მართვის თაობაზე, მაგრამ თვით მემორანდუმის ტექსტი არ გააცნეს ფართო საზოგადოებრიობას, რაც ოპოზიციამ ქართული ინტერესების **"გაყიდვად"** შეაფასა. თუმცა, მემორანდუმმა მაინც ვერ მოახერხა ქართულ-აფხაზური ინტერესების ურთიერთშეთავსება. 2012 წლის ნოემბერში, ჯერ კიდევ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნამდე, კახი კალაძემ განაცხადა, რომ აუცილებელი იქნება აღნიშნული მემორანდუმის პირობების გადახედვა.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების გამართვა და მენეჯმენტის წესრიგში მოყვანა ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება ორივე ხალხისათვის.



დასრულდა ოჩამჩირე-ენგურის გზის მონაკვეთის შეკეთებითი სამუშაოები

აღნიშნულ ინფორმაციას აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ. გზის ამ საკმაოდ რთული გეოგრაფიული მონაკვეთის შეკეთებითი სამუშაოების ხორციელდებოდა **"2010-2012 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმის"** ფარგლებში, რაც თავისთავად გულისხმობს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის სრულად აღდგენას.

ავტოსტრადის ამ მონაკვეთზე ათი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა სარემონტო სამუშაოები და იგი საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოჩამჩირე-ენგურის გზის მონაკვეთის საერთო სიგრძეა 40 კილომეტრი და, გზის სირთულიდან გამომდინარე, მასზე 40 ხიდია განთავსებული, რომელთა სარემონტო სამუშაოები განახორციელა სახელმწიფო კომპანია **"აფხაზეთის სანაპიროს დაცვამ"**.

გზის სარემონტო სამუშაოთა ძირითადი მწარმოებელი გახლდათ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **"აფხაზრეგიონმშენი"**. როგორც კომპანიის დირექტორმა ჰამლეტ ბადოიანმა თავის სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ გალის ცალკეული ქუჩების შეკეთების სამუშაოები, რაც უახლოეს პერიოდში დამთავრდება.

საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი სპირტის კონტრა-ბანდაში დაადანაშაულეს

საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს დაუსწრებლად წაეყენა ბრალდებები განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამის აღებაზე, გამოძალვასა და ეთილის სპირტის კონტრაბანდის ხელშეწყობაზე.

გამოძიების მონაცემებით, კეზერაშვილი, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობდა, 2007 წლიდან ხელს უწყობდა ზოგ ბიზნესმენს, საქართველოში სპირტის შემოეტანათ საბაჟო გადასახადის გარეშე.

სამართალდამცავთა განცხადებით, 2008 წელს, სახელმწიფო მოხელის კარიერის დასრულების შემდეგ, მან კვლავაც გააგრძელა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა ჩინოვნიკად მუშაობის პერიოდში დამყარებული კავშირების გამოყენებით. კეზერაშვილის საქმინობის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი გამომძიებლებმა 50 მილიონ დოლარად შეაფასეს. თავად ექს-მინისტრმა კი, მათი მონაცემებით, არაკანონიერი გზით 12 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო.

კეზერაშვილის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში ყოფილ მაღალჩინოსანს 11-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ყოფილი მინისტრის ადგილსამყოფელი, რომელსაც ისრაელის მოქალაქეობაც აქვს, ამჟამად ცნობილი არ არის. რაც შეეხება სააკაშვილსა და ნაციონალებს, ისინი, რა თქმა უნდა, კვლავაც შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ კეზერაშვილი სრულიად უდანაშაულოა და მასზე პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს. არა და, ეს პირწავარდნილი კრიმინალი რამდენიმე წელიწადი ხელმძღვანელობდა საქართველოს თავდაცვის უწყებას, შემდეგ კი, სააკაშვილის პირადი განკარგულებით იგი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მხარდამჭერთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. ალბათ ის დამსახურება დაუფასა სააკაშვილმა კეზერაშვილს, რომ ეს ბანდიტი 2003 წლის ნოემბერში სხვა **"ბაცნებთან"** ერთად შეიჭრა პარლამენტის შენობაში და სახელმწიფო გადატრიალებას დაუდო სათავე. პოლიტიკურმა **"რეჟისორმა"** და ავანტიურისტმა შევარდნაძემ მაშინ ეშმაკურად კი დადგა **"ვარდების რევოლუციის"** სპექტაკლი, მაგრამ მსახიობები გამოადგა მეტად უნიჭო და მალე გაიშიფრა ყველაფერი.

მართლაც რამხელა საფრთხეს ვართ გადარჩენილები, ამ უდღეურებმა რომ საქართველოს ბოლომდე განადგურება ვერ მოახერხეს!

საქინფორმი

ილია მეორე: "საქართველოსა და რუსეთს შორის სიყვარული სამუდამო იქნება"

საკმაო ხანი გავიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს რუსეთში ვიზიტიდან, მაგრამ ეს მოვლენა დღემდე აქტუალურად რჩება. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი იმედის თვალით შესცქერის მომავალს და დარწმუნებულია, რომ პატრიარქის რუსეთში ვიზიტი დაარეგულირებს ურთიერთობას ჩრდილოელ მეზობელთან, რომლის კეთილი ნება სავსებით განაპირობებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის დადებითად მოგვარების ასპექტებს. იგივე საკითხს კი ამრეზით უყურებენ ნაციონალები და სააკაშვილი, რომელთაც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დავალების შესაბამისად, ლამის სამუდამო მტრად გადაჰკიდეს რუსეთი საქართველოს, რაც ხელს მხოლოდ საქართველოს დაუძინებელ მტრებს აძლევს. მაგრამ ამაოა მათი ყარყაში – ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული გაუგებრობები ერთობლივი ძალისხმევით გადაილახება და საქართველო და რუსეთი კვლავაც ერმანეთის კეთილმოსურნე მეზობლებად დარჩებიან.

სწორედ ამის იმედი გამოთქვა მოსკოვში ვიზიტით მყოფმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ,** როცა ქართველ მოქანდაკეს ზურაბ წერეთელს სახელოსნოში ესტუმრა.

"ჩემი ვიზიტის მიზანია, დაიწყოს იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც მრავლად დავუშვით. ვფიქრობ, გვეყოფა სიმამაცე და სიბრძნე იმისათვის, რომ ეს შეცდომები გამოვასწორო. მე მქონდა შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან და შეთანხმდით იმაზე, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ძმებად დავრჩეთ. ის, რაც მოხდა, არც რუსეთის ბრალია და არც საქართველოსი. ეს იყო ცალკეული პიროვნებების ბრალი. რა თქმა უნდა, ქართველები არიან გიჟები სიყვარულში და კეთილი საქმეების კეთებაში, მხოლოდ ქართველს შეეძლო ეთქვა – შენი ჭირიმე და შენ გენაცვალე. მე მადლობას გიხდით ყველა აქ მყოფებს იმისათვის, რომ თქვენც გიყვართ საქართველო და ჩვენ ამას ვგრძნობთ. საქართველოსა და რუსეთს შორის სიყვარული იქნება სამუდამო" – განაცხადა ილია მეორემ მოსკოვში ქართველი მოქანდაკის სახელოსნოში ვიზიტისას.

რუსულენოვანი ინტერნეტპორტალი **blagovestinfo.ru**-ს ინფორმაციით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ კომენტარი სწორედ ზურაბ წერეთელთან სტუმრობისას გააკეთა.

როგორც უკვე ვთქვით, მთავარი მოვლენები, ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოში მალე განვითარდა და მის მიმართ, საზოგადოების ცხოველი ინტერესი, დღესაც არ ნელდება – დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია უწმინდესისა და უნეტარესის ამ სიტყვებმა იმ დაწყევლილ ნაციონალებს შორის, რომლებიც მათივე ბოროტი ნებით ქვეყანაში დატრიალებულ ყველა უბედურებას მხოლოდ რუსებს მიაწერენ და ამით საკუთარი დანაშაულებების მიჩქმალვას ცდილობენ.

ნაცების ერთ-ერთი ასეთი ურცხვი და უტიფარი რუპორი გახლავთ დარჩიაშვილად წოდებული ეთნიკური სომეხი დავით დარჩიევი, რომელიც გარეგნულად ზრდილი და ინტელიგენტი ადამიანის შთაბეჭდილებას კი სტოვებს, მაგრამ შიგთავსი კი ისეთივე გამომპალი აქვს, როგორც ნაციონალთა ბირთვის ყველა წარმომადგენელს.

კარგად იცი ამ პირწავარდნილმა **"დაშნაკცუტუნელმა"**, რომ ილია მეორეს განუსაზღვრელი ავტორიტეტი გააჩნია რუსეთში, რაც გამოვლინდა კიდეც მისი ამ ქვეყანაში ვიზიტისას, და სწორედ ამისი ეშინიათ მას და საქართველოს სხვა არაკეთილმოსურნეებს. განა საქართველოს პატრიარქის დამსახურება არ გახლავთ ის ამბავი, რომ რუსეთის ეკლესია საქართველოს კვლავაც ძველ რელიგიურ საზღვრებში განიხილავს და ამით აღიარებს მის ტერიტორიულ მთლიანობას?! ეს კი ხელს არ აძლევთ სააკაშვილისა და დარჩიევისთანა რეაქციონერ სომხებს, რადგან საქართველოსა და რუსეთის დაახლოება, პირველ რიგში, ავტომატურად დააყენებს აფხაზეთში ქართველების ღირსეულად დაბრუნების საკითხს, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ აფხაზეთი უნდა დასტოვონ იმ **"ბაგრამიანელებმა"** და სხვა ათიათასობით სომხებმა, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ შეცვივდნენ აფხაზეთში და ქართველთა ოდინდელი სამოსახლოები თვითნებურად დაიტაცეს.

სწორედ ეს უკვე მათთვის დილემად ქცეული საკითხი აწუხებთ ნაციონალებს და მათ უცხოელ დამქაშებს, და არა საქართველოსა და აფხაზეთის ბედი!

რაც შეეხება ქართველ ლტოლვილთა აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებას, ამ საკითხზე რედაქცია საგანგებო წერილს ამზადებს, რომელსაც მალე მივაწვდით ჩვენს მკითხველებს.

რ. შალამბერიძე

2013 წელს საქართველოს ეკლესია თამარ მეფის წლად აცხადებს

დღემდე ბურუსითაა მოსილი საქართველოს შუასაკუნეების რენესანსის პერიოდი, რომელსაც უძვირფასეს დიადემად ადგას დავითის, თამარისა და შოთას სხივმოსილი სახელები. იმ კანიბალ ბარბაროსთა გამუდმებულმა შემოსევებმა, რომლებსაც მხოლოდ ცხოველური სიხარბე და ნეანდერტალური ინსტინქტები ასულდგმულებდათ, ნაცრად და ფერფლად აქცია უძვირფასესი ქართული ფოლიანტები, რომლებიც საქართველოს ძლევამოსილების შორეული წარსულის ფესვებს წარმოსახავდნენ. ამიტომაც ვერ გაუგიათ დღემდე საქართველოს მტერმოყვარეებს, თუ როგორ მოიტანა დღემდე უდრეკი ქრისტიანული სული მუსულმანურ ოკეანეში ჩაძირულმა ამ ციცქნა ქვეყანამ.

თუმცა, იყო დრო, როცა ეს **"ციცქნა"** ქვეყანა ტრაპეზუნდიდან დარიალამდე იყო გადაჭიმული და ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მოქცეულ ვეებერთელა გეოსტრატეგიულ სივრცეს აკონტროლებდა. ეს გახლდათ საქართველოს წმინდანი მეფე თამარის ზეობის ხანა, რომელიც მამის – გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის ერთმმართველი გახდა.

ლამის ბავშვობაში იტვირთა მეფობის სიმძიმე თამარმა, რომელსაც ტახტზე ასვლისთანავე განუდგა ქართველ დიდებულთა ნაწილი, მაგრამ თამარმა მალე მოთოკა გათავხედებული ფეოდალები და მთელი ძალისხმევა ქვეყნის აღორძინების საქმეს მოახმარა. საქართველომ კვლავ დაიბრუნა დავით აღმაშენებელისეული დიდება!

თამარის მეფობის ჟამს საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები იყვნენ შირვანი და რანი, ქაშაგეთი, ოსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი. მოხარკე ქვეყნები კი იყვნენ ხლათის სასულთნო, ერზინკის სასულთნო, კარნუ ქალაქის (არზრუმის) საამირო, ნახჭევანის საამირო...

თამარის დროს ქართველმა მეომრებმა დაუჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს შამქორთან თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, რასაც მეორე **"დიდგორად"** მოიხსენიებს მატიანე.

თამარის მეფობის ჟამს შენდებოდა გზები, ხიდები, ციხე-სიმაგრეები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები. სწორედ მის დროსაა აგებული ბერთუბნის, ბეთანიის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი ქალაქი და სხვა.

სწორედ ამ გამარჯვებებმა აქცია თამარი სათაყვანებელ პიროვნებად. ძველი საქართველოს მოდვაწეებიდან ყველაზე მეტი პოემა, ლექსი და ლეგენდა თამარისადმია მიძღვნილი – ჩახრუხაძის და შავთელის ოდები, შოთა რუსთაველის **"ვეფხისტყაოსანი"...**

"ყველაფერს ეშინია დროსი, დროს ეშინია ეგვიპტის პირამიდების!" – ბრძანებდა ანტიკურ ქალაქ ტროას აღმომჩენი ჰენრიხ შლიმანი.

სრული ჭეშმარიტებაა – დროს ეშინია დავითის, თამარის, შოთასი, რადგან ულმობელი ჟამთასვლა ვერას აკლებს მათი სახელების ელვარებას!

შუა საუკუნეების მეისტორიეთა მიერ დატოვებული ჩანაწერების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ თამარ მეფე გარდაიცვალა 1213 წელს.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გადაწყვეტილებით, 2013 წელი თამარ მეფის წლად ცხადდება, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ერთ-ერთი საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, 2013 წელი საიუბილეო წელია, რადგან მეცნიერები ფიქრობენ, რომ წელს თამარ მეფის გარდაცვალებიდან 800 წელი სრულდება.

"არსებობს სხვა მოსაზრებებიც, თუმცა მეცნიერთა უმეტესობა ასე თვლის, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ წელს თამარ მეფის წელი დაერქვას. წმინდა თამარ მეფე შეეწიოს სრულიად საქართველოს, გაამთლიანოს და გაახაროს ქვეყანა და ყოველი ადამიანი", – ბრძანა უწმინდესმა.

რ. აბაშელი

პოეტ შოთა ჩანტლაძეშ შინას

ირფელქ ჭარკონტით ეკიპელეტას,
ქიანემქ გინირთან ალდაჩხირონი,
იშენ დოსქიდუ ღორონთიშ სმეტი
მუჭოთ ხეოპსი დო პართენონი...
მაყალეცალი მულა დღალეფი,
არჩქილე სქანი დო მუში მისით,
სი ვადგოკორდუ ირიანი
შურიშ მოშინა დო პარაკლისი...
დღალეფ მიდულა, მუჭოთ მეულა
ართი სერიში ყოროფილეფი,
სი ირიათო იყიქ ჩქინწკუმა
შურიშ ჭუალათ, შხვანერ ფირქეფით...
დირულე ჯიმა, ირკოჩ მალგ რე,
თაქ ოყოროფეთ ჩქი მით ქოპუნა,
ვერა, ვარაზი, შოთა ჩანტლაძე
ჩქი ღურა დღაშა ვაგმოჭყორდუნა...

ლილ ქუჯიშ ლური

ქუჯი ონწეს აშანათუნს,
გემუანო ლურსი,
დარაიაშ ჭკარჭკუნტია
ფოთი მუნაქუნსი...
მაჭირხოლი ჭირხოლითი
ქუჯის უბირუნსი,
მასქურით თის უფერუანს
ფოთას მინმანწყუნსი...
ქუჯიქ გოკურცხ, ნანა ჰამას
თოლეფს უჯუნუნსი...
ჩე ტორონჯი, ცა-ფორონჯის
გილაფურინუნსი...

რამაზ კუპრა

ქართული გონის გაბრწყინება

გთავაზობთ ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დემურ ღაღანიძის წერილს

გამჟღავნდა ფესტოსის დისკოს საიდუმლოება. ნათელი მოეფინა ძვ.წ.-ის II ათასწლეულის I ნახევრის ბერძნებამდელი პერიოდის ევროპის ისტორიას, დიდებულ მინოსურ ცივილიზაციას, ეგეოსის ზღვის იმდროინდელი კულტურის შემოქმედი ხალხის ვინაობას.

ფესტოსის დისკო 1908 წელს კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ. იგი წარმოადგენს 16 სმ დიამეტრის თიხის დისკოს, რომლის ორივე მხარეს გამოსახული ნახატ-ნიშნების ამოკითხვას ერთი საუკუნე ლამობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები: ა. ევანსი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ლ. გოდარი, ჟ.-პ. ოლივიე, ივ დიუ, გ. ოუენსი, ჰ. ძებიში და სხვები. ეძიებდნენ, რამეთუ სწამდათ და სჯეროდათ, რომ ამ წარწერით მრავალ საიდუმლოს აეხდებოდა ფარდა.

ფესტოსის დისკო მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი ტექსტია, რომელიც 40 საუკუნემდე ასაკისაა. იგი 3500 წლით უსწრებს გუტენბერგის სტამბაში დაბეჭდილ პირველ ევროპულ წიგნს. დღეს უკვე გაირკვა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის შემოქმედნი კოლხური წარმოშობისანი იყვნენ, რომელნიც ფლობდნენ წერის სპეციალურ ხელოვნებას, რასაც ბერძნები **„ხრისოგრაფიას“**, ანუ **„ოქროდამწერლობას“** (ოქროთი წერას) უწოდებდნენ. სავარაუდოა, რომ ასეთი ხელნაწერები მათ კოლხეთიდან ჩამოიტანეს კრეტასა და ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებზე. ოქროთი წერის ტექნიკა ვერძის ტყავზე ყოფილა აღწერილი. ამდენად, სარწმუნოა მოსაზრება, რომ არგონავტები **„ოქროს საწმისისთვის“** ჩამოვიდნენ კოლხეთში.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ 1894-1909 წლების ინგლისელმა არქეოლოგმა, სერ არტურ ევანსმა კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა ათასობით ფირფიტა – A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერები, რომლებიც ძვ.წ.-ის II ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება.

ფესტოსის დისკოს, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერების საიდუმლოების გამხელას განსაკუთრებით ელოდნენ ქართველები, რამეთუ შინაგანად სწამდათ არსებული მეცნიერული მოსაზრებები. ლოგიკური მსჯელობა კი მათ აძლევდა საფუძველს, ევარაუდათ, რომ წინაბერძნული პერიოდის ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროები და კუნძულები ქართველური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული.

ამ აღმოჩენით ყველაზე მეტად გაიხარებდა იაფეტურ ენათა თეორიის შემოქმედი აკადემიკოსი ნიკო მარი, რომელიც ქართველებს, ბასკებს, პელაზგებს, ეტრუსკებსა და რიგ ჩრდილოკავკასიელ ხალხს ერთ მონათესავე ენების ხალხად განიხილავდა. ნიკო მარმა ბასკეთში მიღებული შთაბეჭდილებების შემდეგ თავის წიგნს **„პირინეის გურია“** უწოდა.

რაოდენ მართალი იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ბრძანებდა: **„ქართველებს ქრისტეს წინათ მრავალი საუკუნით ადრე უნდა ჰქონოდათ მწერლობა, შესაძლებელია გამოირკვეს, რომ ამ ხანის დამწერლობა მეგრულ-ჭანურ ან სვანურ შტოს ეკუთვნოდეს...“** შემდეგ სახელოვანი მეცნიერი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ **„საქართველოს ისტორია კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებითა და მითებით“**.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე სტალინმა დაავალა ქართველ მეცნიერებს ღრმად ჩასწვდომოდნენ ევროპაში ბერძნების მოსვლამდე მცხოვრები ხალხის ისტორიას, გაერკვიათ მათი ნათესაური კავშირი ქართველებთან. ბელადი არ გამორიცხავდა ქართველთა ნათესაობას კაცობრიობის ცივილიზაციის ფუძემდებელ შუმერებთანაც.

ჩვენს თაობას კარგად ახსოვს ამ ოციოდე წლის წინ საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში ზვიად გამსახურდიას მიერ წაკითხული მოხსენება, სადაც საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მეცნიერულად წარმოადგინა საქართველოს ეროვნული მისია და მედიტერიანული სივრცის ბერძნებამდელი კულტურის შემოქმედ ხალხად ქართველთა წინაპრები აღიარა.

უცხოელ მეცნიერთაგან ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი ჰერბერტ ძებიში მივიდა, რომელმაც არგუმენტირებული მოსაზრება გამოთქვა, რომ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ენა შეიძლება პროტოქართველურ-კოლხური ყოფილიყო. მის მიერვე შექმნილი სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას, სადაც ნებისმიერი ენის ჩასმა შეიძლებოდა, მხოლოდ ქარველურმა ენამ **„უპასუხა“**.

ჩატარებული კვლევების შედეგებზე ჰ. ძებიში 1988 და 1991 წლებში მოხსენებით გამოვიდა ბუდაპეშტის საერთაშორისო კონგრესსა და რომის მიკენოლოგთა სამეცნიერო კონფერენციაზე. მრავლისმთქმელია ჰ. ძებიშის მონოგრაფიათა სათაურები: **„იბერიული – ღმერთების ენა“** და **„პელაზგური – იბერიული ენა“**, რომლებშიც ავტორმა წამოაყენა არგუმენტირებული ჰიპოთეზა, რომ **„პელაზგური ენა ქართველურ ენათა დედაა“** და **„ფესტოსის დისკოს წარწერის ენა პროტოქართველურ-კოლხურია“**.

მიუხედავად ამისა მსოფლიო მეცნიერთა უმრავლესობა მაინც დუმდა და ყოველივე ეს სურვილებად და ჰიპოთეზის დონეზე რჩებოდა. მათი უმრავლესობა ფესტოსის დისკოსა და **A** კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვას ბერძნულ, ფილისტიმურ, ეგვიპტურ, ხეთურ, ებრაულ და სხვა ენებზე დაყრდნობით ცდილობდნენ. ჰ. ძებიშის გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში **„დამწერლობის ისტორია“** (2002 წ.), ავტორები გერმანელი მეცნიერები ე. დობლჰოფერი და ი. ფრიდრიხი წერდნენ: **„ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფვრაში ენათმეცნიერული შტამპები და სტანდარტები უძლურია, იგი გენიოსის წილხვედრია“.**

და ვინ უნდა ყოფილიყო ის გენიოსი, სად უნდა შობილყო იგი, რომელიც ნათელს მოჰფენდა II ათასწლეულების ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის სივრცეში, წინაბერძნული ევროპის ისტორიას, კრეტის, იგივე მინოსური ცივილიზაციის შემოქმედი ხალხის ვინაობას?

და აი, ჭყონდიდელის სხივითა და სიბრძნით მოსილ ძველთაძველ ქართულ მიწაზე, მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში 1973 წელს დაიბადა ბიჭი, რომელმაც 17 წლის ასაკიდან თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა ფესტოსის დისკოსა და **A** კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა. ძირითადი სპეციალობის – მათემატიკის პარალელურად სწავლობს შუმერულ, ეგვიპტურ, ხეთურ, სიანიტურ, ქანაანურ და სხვა ტიპის დამწერლობებს; აგროვებს 400-მდე ნახატ-ნიშანს, წვდება საიდუმლოებას – თუ როგორ შეიძლებოდა ნახატ-ნიშნებით პროტოქართველურ-კოლხური მარცვლების გადმოცემა. დიდი მიზნის მისაღწევად შეიმუშავა წარწერების ამოკითხვის ალგორითმი, რომელიც ეყრდნობა არა მხოლოდ ფესტოსის დისკოს გრაფიკულ მონაცემებს, არამედ ვრცელდება დანარჩენ წარწერებზე, კერძოდ, არქალახორის ცულის, მალიის ქვის ბლოკისა და ფესტოსის დისკოს ლარნაკის წარწერებზე, **A** კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის დამწერლობებზე.

შედეგი მიღწეული იქნა. ქართველი შამპოლეონი ამხელს ფესტოსის დისკოს საიდუმლოს და ახდენს მის ამოკითხვას – **„ჩხოფაი ორონე ნანა“ – „სხივოსანო დედაღმერთო“.** გვაუწყებს რომ ეს 40 საუკუნის წინანდელი საკვდრებელ-საგალობელი მიძღვნილია **„აია-ნეშკარის“** მფარველ პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დიდ დედაღვთაება ნანასადმი, ანუ რეალინსონი, ჰინკსი, ოპერტი, ტალბოტი, ჰროზნი, ვენტრისი და ჩედვიკი. მისი სახელი, როგორც ეს ითქვა დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიასა და ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მალე ღირსეულ ადგილს დაიკავებს ამ აღმომჩენებს შორის.

კიბილესადმი. ***ეს წარწერა პროტოქართველურ-კოლხურია. იგი პირველი ბეჭდური დოკუმენტია მსოფლიოში, ნიმუშია „კოლხური ოქროდამწერლობისა“.***

ამ აღმოჩენის საფუძველზე გია კვაშილავამ ასევე ამოიკითხა **A** კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერების მთელი არქივი. გაირკვა, რომ ეს დამწერლობებიც ქართველთა წინაპრების შემოქმედებაა.

რეალობად იქცა ბერძნული მითები და ლეგენდები კოლხეთზე. ფრთები შეისხა ყველა დროის დიდი გეოგრაფის, სტრაბონის, 20 საუკუნის წინანდელმა ხატოვანმა გამოთქმამ – **„სახელგანთქმული კოლხეთის დიდებას ღაღადებენ მითები“.** ნათელი გახდა თუ რატომ ადიდებდნენ ქართველთა წინაპრებს ბერძნები. დიახ, ის ბერძნები, რომლებიც ყველა არაბერძენს ბარბაროსად მოიხსენიებდნენ, ხოლო კოლხებს ადიდებდნენ.

რაოდენ ბედნიერი იქნებოდა დღეს ჰ. ძებიში, რომელმაც პირველმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა – პელაზგური ენა – პროტოქართველურ-კოლხურია. გაიხარებდა სერ არტურ ევანსი, როელმაც პირველმა აღმოაჩინა და შეისწავლა კნოსოსის სასახლე, დაადგინა კრეტის კულტურის პერიოდიზაცია, სისტემაში მოიყვანა და გამოსცა ძველი კრეტული დამწერლობების ნიმუშები, მაგრამ არ იცოდა მისი შემოქმედი ხალხის ვინაობა.

ბედნიერი იქნებოდა ფესტოსის დისკოს აღმომჩენი ლ. პერნიე, ყველა ის უცხოელი და ქართველი მკვლევარი, რომლებიც გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ პირინეის ნახევარკუნძულის, აპენინის ნახევარკუნძულის, სამხრეთი ბალკანეთის, ეგეოსის ზღვის კუნძულების, ანუ როგორც მას უწოდებენ მედიტერიანული, ანუ პროტოიბერიული სივრცის კულტურის შემოქმედნი ქართველთა წინაპრები არიან.

ერთობ სასიხარულოა, რომ გია კვაშილავას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა, შესაბამისობაშია როგორც ცნობილი უცხოელი და ასევე ქართველი მეცნიერების ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ი. მეგრელაძის, ს. მაკალათიას, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ბერაძის, აკ. ურუშაძის, თ. გამყრელიძის, რ. გორდეზიანისა და სხვათა მეცნიერულ მოსაზრებებთან, ხოლო მისი კვლევის მეთოდები მეცნიერულად სრულყოფილია და მიესადაგება საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებს. ყოველივე ეს გია კვაშილავას უმკვიდრებს ადგილს მსოფლიოში ისეთ ცნობილ აღმომჩენთა გვერდით, როგორიცაა, შამპოლიონი, გროტეფენდი, ბიურნუფი,

ფესტოსის დისკოს წარწერის, **A** კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის დამწერლობების ამოკითხვამ ერთხელ კიდევ დაადასტურა – ვინც ქმნის დამწერლობას, ის არის ამ ეპოქის ცივილიზაციის მებაირახტრე. შესაბამისად ქართული სახელმწიფოებრიობა ახალ სივრცეებსა და კიდევ უფრო შორეულ სამანებს სწვდება, იზრდება ქართველი ხალხის, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომის, შემოქმედის როლი და ავტორიტეტი. თუკი აქამდე არსებული მტკიცებებით, ძველი კოლხური სახელმწიფოს ისტორია ძვ. წ.-ის XII საუკუნეს ვერ სცდებოდა, გია კვაშილავას ამ აღმოჩენის შედეგად სახეზეა ქართული სახელმწიფოებრიობის 40 საუკუნოვანი ისტორიის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები, რომ ქართველური ტომის – პელაზგების მიერ შექმნილი კულტურა იყო საძირკველი ბერძნული ცივლიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა პირველ ევროპულ ცივლიზაციას.

გია კვაშილავამ კრეტის ქურუმებს დაუკავშირა კოლხი, ლემნოსელი, სამოთრაკიელი ქურუმები – კორიბანტები და მათი კირბები. აჩვენა, რომ ამ ენაზე მეტყველებდნენ მინოსელები, მათი მეუღლე – კოლხი პასიფაე (აიეტის და), კოლხეთის მეფე აიეტი, აიეტის ქალიშვილი და იასონის მეუღლე – მედეა, ოდისევსის მეუღლე კირკე (აიეტის და).

კარგად მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი აღმოჩენა მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც იგი ფართო საერთაშორისო აღიარებას ჰპოვებს. ამ მხრივ უკვე სახეზეა პირველ შედეგები: 2010 წელს ირლანდიაში გამოცემულ 504 გვერდიან ფუნდამენტურ ენციკლოპედიაში **„ატლანტიპედია“**, სადაც ცნობილი მეცნიერი ტონი ოკონელი ნათლად წარმოაჩენს ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის ისტორიას, გია კვაშილავას აღმოჩენას მთელი თავი აქვს დათმობილი. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **„ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ შემოგვთავაზა ყველაზე მისაღები და რეალური დეშიფრირება ფესტოსის დისკოს ტექსტისა, რომელიც შესრულებულია პროტოქართველურ ენაზე და დაბეჭდილია უნიკალური კოლხური სილაბურ-ლოგოგრამული ოქროდამწერლობით“.** ენციკლოპედიის თანახმად, გია კვაშილავას ეს ნაშრომი, როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რეკომენდირებულია მაღალი კურსის სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისა და ამ დარგის მეცნიერთათვის მთელ მსოფლიოში.

ქართველი მკვლევარის სახელი უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს, დიდია მისი გამოკვლევისადმი უცხოელ სპეციალისტთა ინტერესი, მას სისტემატურად იწვევენ საზღვარგარეთის პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა **„ფესტოსის დისკო“**-ს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 2008 წელს ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიასა და ლონდონის სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოებაში. მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერთა წინაშე გია კვაშილავა წარსდგა მოხსენებით – **„კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის, ფესტოსის დისკოს ამოკითხვა“.** კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრით – **„ამ ისტორიული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გვირგვინი ქართველი მეცნიერის მოხსენება იყო“.**

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

“ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲜ, ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ”

“რუსეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ეს სამუდამო მეზობლობაა”

“ეს კაცი მახათას მთაზე პირდაპირ პატრიარქის სავარძელში ჩავარდა და იქიდან გაღიმებული იყურებოდა”

“უნდა ზუგდიდში წავიდეს, უნდა ქუთაისში და უნდა ბებიას ჩაუჯდეს კალთაში”

“როდესაც სააკაშვილს პუტინი გორში მოელანდა, ღობის ძირში ვიპოვეთ”

“ეს ცრუპატრიოტები გამეცადინებული არიან, რუსეთთან რკინიგზა არ გაიხსნას, რომ იქიდან დოსტოევსკი არ შემოგვეპაროს”

საქართველოს პრეზიდენტმა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან განაცხადა, რომ საქართველოში კოჰაბიტაცია წარმატებით მიმდინარეობს. თუმცა, ოპონენტებზე ისე ისაუბრა, ყველას მკაფიო წარმოდგენა შეექმნა იმაზე, თუ რას გულისხმობს კოჰაბიტაცია ქართულად. ამ თემით დავიწყეთ საუბარი პოეტ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲦᲠᲐᲯᲘᲡᲗᲐᲜ:**

– მოსახლეობამ ზნეობრივი გარდატეხა მოახდინა ქვეყანაში და ბიულეტენებით, კენჭისყრით მოუგო არჩევნები იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ქვებს ესროდა. ლოგიკური იყო, რომ ქართველ ხალხს გაემარჯვა იმ უზნეობასა და ძალადობაზე, რომელიც **“ნაცმოძრაობამ”** დაამკვიდრა ქვეყანაში.

სააკაშვილმა საერთაშორისო ტრიბუნიდან თქვა, რომ კოჰაბიტაცია საჭიროა, მაგრამ ამის მერე რაც ილაპარაკა, სწორედ იმისკენ იყო მიმართული, რომ კოჰაბიტაცია ჩაშლილიყო. თუმცა, ეს პროცესი ვერ ჩაიშლება, რადგან თანაცხოვრებასა და განსხვავებული აზრის პატივისცემას საქართველოში საუკუნეების ისტორია აქვს. ქართველი ხალხი შეურაცხყოფას, აბუჩად აგდებასა და წინაპრის შეურაცხყოფას არასოდეს შეიწყნარებს...

ადამიანების ჩეხა და ცოცხებით წამება პოლიტიკა აღარ არის. არ ვამბობ, რომ **“ნაციონალურ მოძრაობაში”** ყველა ერთნაირად აგებს პასუხს ჩადენილ დანაშაულებზე, რადგან იქაც არიან ადამიანები, რომელთაც გააცნობიერეს, რომ სააკაშვილი მათთვისაც ზედმეტია. ამ კაცს გამეტებული ჰყავს თავისი მომხრეების მცირე ჯგუფი. ურჩევნია, ციხეში გაგზავნოს ისინი, რომ მერე კომენტარები გააკეთოს. სააკაშვილი თავის მომხრეებს უშლის ხელს ცხოვრებაში, თორემ ის საქართველოსთვის პრობლემა აღარ არის. უნდა ზუგდიდში წავიდეს, უნდა ქუთაისში და უნდა ბებიას ჩაუჯდეს კალთაში.

– როდესაც მაღალი ტრიბუნიდან სააკაშვილი ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საქართველოში დემოკრატიისთვის შექმნილ საფრთხეზე ლაპარაკობს, ესეც არ არის პრობლემა?

– შეპყრობილი ადამიანის ასეთ უსუსურ და უმწეო გამოსვლას იუმორით უნდა შეხედო. სააკაშვილი ის ადამიანია, ვისაც არავინ მოუყვა, რა არის საქართველო, რომ საქართველო მოდის კოლხეთიდან, იბერიონიდან, რომ აქ მეოთხე საუკუნეში მოციქულთა სწორი წმინდა ნინო შემოვიდა და მირიან მეფისა და ნანა დედოფლის მოქცევით დაიწყო ქრისტიანობა. ეს ყველაფერი დაუმალეს ამ კაცს და მანაც არაფერი იცის. გენიალურმა მოაზროვნემ და პოეტმა შოთა რუსთაველმა ოროსან სააკაშვილს რაბათის ციხესთან საქვეყნოდ ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა და ქართულ კულტურაზე საუბრის უფლება. ეს კაცი არც ქრისტიანობის ისტორიას იცნობს, არც კათალიკოსის ინსტიტუტს და არც ავტოკეფალიაზე აქვს წარმოდგენა. ყველამ დაინახა, რომ ეს კაცი მახათას მთაზე პირდაპირ პატრიარქის სავარძელში ჩავარდა და იქიდან გაღიმებული იყურებოდა.

– ახალ ხელისუფლებას “ნაციონალური მოძრაობა” პოლიტიკური კურსის შეცვლის გამო აკრიტიკებს. თქვენ თუ ხედავთ საგარეო ვექტორის რუსეთისკენ გადახრას?

– წინა ხელისუფლებას კურსი საერთოდ არ ჰქონდა. **“ნაციონალურმა მოძრაობამ”** ყველაფერი გააკეთა, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე არავის დავენახეთ. როდესაც ადამიანის უფლებებს სააკაშვილივით გათელავ, იქ ნატოსა და ევროპაზე აღარ არის ლაპარაკი. რუსეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ეს სამუდამო მეზობლობაა. ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილი პუტინის ლანძღვით საქართველოს აძლიერებდა? მან ჩვენი მიწა-წყალი დაკარგა და ხელი მოაწერა კაპიტულაციას.

ბოლო ათწლეულებში მოდაში იყო გაცხადებული პატრიოტიზმი, სამშობლოს აღვირახსნილი სიყვარული. ასეთ აღვირახსნილ სიყვარულში შემჩნეული ადამიანები აფხაზეთის ომის დროს სადღაც დაიმალნენ, გულწრფელი ხალხი კი ომში წავიდა და დაიღუპა. ეს ფიურერები კი კაბინეტებში დარჩნენ.

ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია განსწავლული ადამიანების საქმეა და, როგორც იქნა, სერიოზული ადამიანი მოვიდა ბიძინა ივანიშვილის სახით.

კარგია, რომ საპატრიარქოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხში მკაფიო პოზიცია აქვს, ინარჩუნებს ურთიერთობას რუსულ ეკლესიასთან. პატრიოტიზმის მოტივით პატრიარქს ეს ურთიერთობა შუა გზაზე არ მიუგდია და დიდი სიბრძნით მოქმედებს. ეს ცრუპატრიოტები კი გამეცადინებული არიან, რუსეთთან რკინიგზა არ გაიხსნას, რომ იქიდან დოსტოევსკი არ შემოგვეპაროს ან ვიღაცამ რუსული წიგნი არ გადმოიტანოს. ვერც ერთი პრეზიდენტი და მთავრობა ვერ შეძლებს, რომ კულტურის გზაზე ჩააყენოს მილიტარისტული ბლოკპოსტი. ვერასოდეს დავკარგავ ანა ახმატოვათი და მარინა ცვეტაევათი აღტაცებას. ეს რომ დავკარგო, მოვკვდები არა როგორც პოეტი, არამედ აღარ ვიარსებებ როგორც ადამიანი. თუმცა ერთი საფრთხე მაინც არის ჩვენს საზოგადოებაში. სააკაშვილისთვის რომ ესიამოვნებინათ, ხელოვანი ხალხი რუს კოლეგებს აღარ ესალმებოდა. ცოტა მაფრთხობს, რომ ახლა არ დაიწყოს ხბოს აღტაცების ენთუზიაზმი ამ ურთიერთობის გზაზე. ჩრდილი ადგება ქვეყნის ღირსებას, როდესაც ლაქიებივით გარბიან ვიღაცები, რომლებიც წინათაც იყვნენ რუსეთში სირბილს მიჩვეული. რაც იყო, ის აღარ იქნება, ახლა ღირსეულმა ადამიანებმა უნდა დაალაგონ ურთიერთობა.

– ანუ უსაფუძვლოა სააკაშვილის “შეშფოთება”, მეზობლის გამო საქართველოს ხელისუფლებამ ხალხის მიერ არჩეულ კურსზე თქვა უარიო?

– ბატონი ბიძინა ყველა თავის საჯარო გამოსვლაში მკაფიოდ აცხადებს, რომ ჩვენი გზა მიდის ევროპისა და ნატოსკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს რუსეთ-საქართველოს შორის გაუთავებელ ომს, რადგან ამას საქართველო ვერ გაუძლებს. ხელისუფლის სიბრძნე ის არის, რომ არსებული რეალობიდან საუკეთესო გზა იპოვოს, თავისი ხალხი აარიდოს ომსა და დევნილობას. პოლიტიკა ესაა. თორემ ყველა ნაღმზე თუ აფეთქდი, ამას პოლიტიკოსობა კი არა, ბედოვლათობა ჰქვია. პუტინის ლანძღვას ის მოჰყვა, რომ როდესაც სააკაშვილს ის გორში მოელანდა, ღობის ძირში ვიპოვეთ. აი, ასეთია ფრაგმენტი ჩვენი მთავარსარდლის გმირული თავგადასავლიდან.

– ახალ ხელისუფლებაში ნაკლს რას ხედავთ?

– რამდენადაც ვიცნობ ბატონ ბიძინას, მინდა მთავრობის სხვა წევრებს ვუსურვო მისგან ისწავლონ მხნეობა და ყველა პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომა. ტყუილს საგანგებოდ ამბობს ზოგიერთი **“ობიექტური”** ტელევიზიის ჟურნალისტი – ივანიშვილი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებსო და პარალელურად მერაბიშვილს აქებენ. შეგნებულად ეძებენ ივანიშვილის ნათქვამში რაიმე არასწორს, რაც, მათი აზრით, პრემიერ-მინისტრს არასასარგებლოდ მოუტრიალდება. მაგრამ ბატონი ბიძინა ნატოში ინტეგრაციაზეც მკაფიოდ, ხეირიანად და კარგი ქართულით ლაპარაკობს, ევროპისკენ სვლაზეც და რუსეთთან ურთიერთობასაც ფრთხილი ოპტიმიზმით ახსენებს. რადგან ეს ჟურნალისტები ხელმოსაჭიდს ვერ პოულობენ, ძალიან არიან განერვიულებული.

რამდენიმე დღის წინ **“იმედის”** დილის გადაცემაში ვიყავი და თავისუფალი, მშობლიური გარემო დამხვდა, სადაც 7 ნოემბრის მერე აღარ მიეუწვევივარ.

ვინც ხელისუფლებაში არა ვართ, ჩვენს აზრებს საჯაროდ გამოვთქვამთ და ხელისუფლების ნებაა, გაითვალისწინებს თუ არა. საქართველოს მარადიული პრობლემა ის არის, რომ მაღალჩინოსნები კაბინეტებში გამოიკეტებიან ხოლმე. ჩაბურული მანქანისა და კაბინეტის მინებიდან კი სამშობლო კარგად აღარ ჩანს. ბატონ კახი კალაძეზე იუმორით ვთქვი რაღაც და ძალიან სერიოზულად აღიქვეს. არ ველოდი ამას, რადგან განზრახვაში არ მქონია ჩრდილი მიმეყენებინა იმ კაცისთვის, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. კახეთში გამიგონია ასეთი ნათქვამი: მე სალხინოთა ვთქვი და რა გულზე მაიხვედრეთო. ასე იყო კახი კალაძის შემთხვევაში.

არსებობს პერიფერიული აზროვნების კატეგორია და როდესაც ასეთი ადამიანები რაიმე თანამდებობას დაიკავებენ, ფიქრობენ, რომ მათი დრო მოვიდა. მეც ვყოფილვარ ხელისუფლებაში და ამას უსაფუძვლოდ არ ვამბობ. ადამიანმა არასდროს არ უნდა იფიქროს, – ჩემი დრო მოვიდაო. პასუხისმგებლობის ამდენ ადამიანს ევალება იცოდეს, რომ ჩვენ დროაებრივ დროში ვცხოვრობთ და **“ჩემი დროს”** ცნება არ არსებობს.

კ. ᲚᲐᲒᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐ

(გაგრძელება მე-4გვერდიდან)

დღეს, როდესაც მეცნიერები საუბრობენ ქართველთა უძველეს კულტურასა და მის გავლენაზე ხმელთაშუა ზღვის ოთხი ათასი წლის წინანდელ და შემდგომი პერიოდის ცივილიზაციაზე, უპირველესად გია კვაშილავას აღმოჩენებს იშველიებენ და მას მოიხსენიებენ უდიდეს აღმომჩენთა გვერდით.

„თქვენი მოხსენება სრულიად გამორჩეული და განსაცვიფრებელი იყო“, წერს ცნობილი მკვლევარი, დოქტორი ჯ. აიზენბერგი.

„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, მე წავიკითხე თქვენი ნაშრომი. იგი ძალიან შთამბეჭდავია. ...თქვენ დაამტკიცეთ, რომ ფესტოსის დისკო არის კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში. ...ამ ანტიკულტურის დროში თქვენი ნაშრომები არის მაცოცხლებელი ენერგია. ...თქვენ ბრწყინვალე მკვლევარი ბრძანდებით“, ვერ ფარავს თავის აღფრთოვანებას კანადელი მეცნიერი, დოქტორი რ. მორიტი.

ეს ის ცნობილი მეცნიერი მორიტია, რომელმაც 2010 წელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კემბრიჯის სწავლულთა გამომცემლობაში გამოაქვეყნა მონოგრაფია – **„ქვები, რომლებიც მეტყველებენ“,** რომელიც მთლიანად მიუძღვნა გია კვაშილავას ამ აღმოჩენას და ასკვნის: **„გია კვაშილავა არის ის მეცნიერი, რომელმაც ახალი ხედვით შეცვალა და შეავსო უძველესი კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია“.**

არსებითი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს თვით ბერძენი მეცნიერების აზრს ამ საკითხებზე. ცნობილი ბერძენი მეცნიერი ტ. კაფანტარისი საქვეყნოდ აცხადებს: **„კოლხებს, რომლებიც მაშინ კრეტაზე სახლობდნენ შეუძლიათ არა მხოლოდ იოცნებონ, არამედ გაითავისონ ის, რომ ისინი ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე და იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები“.** უკეთესს მართლაც ვერაფერს ინატრებდა ქართველი. უკვე ნივთიერი და მატერიალური წყაროებით დადასტურდა ისტორიის მამის ჰეროდოტეს 25 საუკუნის წინანდელი ნათქვამი: **„კოლხები მთელ სამყაროში არიან განფენილნი, კოლხთა წინაპრები, პელაზგები და ეტრუსკები პირველნი ცხოვრობდნენ საბერძნეთის კუნძულებზე“.**

გია კვაშილავას ეს აღმოჩენა აუცილებელს ხდის გადაიწეროს მსოფლიო ისტორიის მრავალი გვერდი, არსებითად შეცვალოს ევროპაში ბერძნებამდელი პერიოდის ისტორია, თავისი კანონიერი სახელი დაუმკვიდრდეს კრეტის ანუ მინოსურ ცივილიზაციას, უფრო ინტენსიურად წარიმართოს კვლევითი სამუშაოები ქართველთა წინაპრების განსახლებისა და მოღვაწეობის შესახებ პირინეის, აპენინის ნახევარკუნძულებსა და ხმელთაშუა ზღვისპირა აზიის, ევროპისა და აფრიკის კონტინენტებზე.

გიხაროდენ ქართველნო! მეცნიერულად განმტკიცდა ჰიპოთეზა, რომ ბერძნებამდელი ევროპის ცივილიზაციის შემოქმედნი ქართველთა წინაპრები არიან და ეს ზოგდსაკაცობრიო მოვლენა სამყაროს ქართველმა მეცნიერმა, გია კვაშილავამ ამცნო.

„გმირს ყველაზე მეტად უნდა ქებანი“, ბრძანებდა დიდი კონსტანტინე. როდესაც სახეზეა ასეთი დიდი აღმოჩენა, ახლა უკვე დღის წესრიგში დგება საკითხი ამ მიმართებით მეცნიერთა და ფართო საზოგადოების აზრის კონცენტრირებისა, რომ იგი დროულად და სათანადოდ აისახოს ისტორიულ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში. ინტენსიურად წარიმართოს მუშაობა არა მხოლოდ მედიტერიანულ სივრცეში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც კოლხთა ცხოვრებისა და საქმიანობის კვალი დღემდეა შემორჩენილი. გამოიძებნოს ფინანსური და სხვა საჭირო რესურსები ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა სპეციალური ჯგუფის შექმნისათვის, შესაბამისი მეცნიერული შრომების გამოცემისა და სხვადასხვა ქვეყნებში გასავრცელებლად, რომ იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული პირისათვის. აუცილებელია, რომ ამ საკითხებზე საქართველოში მოწვეული იქნას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ისტორიისა და სიძველეთა კვლევის ცენტრების, აკადემიების, ინსტიტუტების, მუზეუმების, გამომცემლობების წარმომადგენლები, ცნობილი უცხოელი მეცნიერები და მკვლევარები.

აუცილებელია, რომ დაარსდეს მედიტერიანულ სივრცეში მცხოვრები პროტოქართველურ-კოლხური მოსახლეობის კულტურის მეცნიერული კვლევა-ძიების ხელშემწყობი ფონდი.

ეს ყველა ქართველის, უპირველესად, შესაბამისი სახელისუფლო ორგანოების, ბიზნესმენების, საქართველოზე, კაცობრიობის წარსულსა და მომავალზე ყველა დაფიქრებული კაცის მოვალეობაა.

ᲓᲔᲛᲣᲠ ᲦᲐᲦᲐᲜᲘᲫᲔ,
ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ

ᲡᲐᲗᲠᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲗᲘᲗᲚᲘᲑᲐᲖᲔᲑᲘ

როგორც სალიერს,
ისე მაქციებს
გეყოთ, რაც დაწვით
და დააქციეთ!
ქუთაისს თქვენგან
დარჩა იარა –
დედა-შვილად და
მემორიალად.
შენ კი,
ცხრა მთა რომ გადაიარე,
ისევე წამლავ ადამიანებს
და ყავლგასულმა
რომ იბატონოს,
თითლიბაზობ და გუბერნატორობ!

ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ

ხალხი ხედავს,
რა უჩვენა,
გიგი, შენმა გაურჩებამ
და მერად ვერ დაურჩები
თბილისს შენი ვაუჩრებით.

ᲕᲐᲜᲝ ᲓᲐ ᲢᲐᲠᲝᲡᲘ

ახლა ესა აქვს ანონსად
ტურფასა საბაღნაროსა:
უწია ავმა ტაროსმა
მერაბიშვილსა ვანოსა!

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲘᲡᲐ

რადგან სინდისთან ის იყო მწყრალად,
არც დაგვინდო და არც შეგვიწყალა
და დღეს ქვეყნისთვის ჩირქის მომცხები
მიიზლაზნება თავის ცოცხებით.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-202

ასევე, კვირის მეორე დღე ორშაბათი მეგრულად არის თუთაშხა – თუთასდღა, მთვარის დღე (მეგრულად **„თუთა“** არის მთვარე) და შექმნილია შუმერული, იგივე მეგრული ღვთაება **„ნარნარი“**-ს სახელის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ გარდა შაბათისა (მეგრულად საბატუნი, საბატუი-ნი), ყველა დანარჩენი დღის სახელი ბოლოვდება **„ხა“**-თი (მეგრულად ფრთა, ერთი ფრთა, ერთი ნაწილი), ე.ი. რომელიმე პლანეტაზე ან მნათობზე მიკუთვნებული ნაწილი. აი ისინი: კვირა **„ჟაშ“** -ხა, ორშაბათი – **„თუთაშ“**-ხა, სამშაბათი **„თახაშ“**-ხა, ოთხშაბათი **„ჯუმაშ“**-ხა, ხუთშაბათი **„ცაშ“**-ხა, პარასკევი **„ობიშ“**-ხა.

კვირის ბოლო დღე – შაბათი (საბატუნი) ღმერთების დღედ არ ითვლებოდა, ამ დღეს, თუ შესაძლებელი იყო, კაცი სახლიდან არ უნდა გასულიყო და ცეცხლიც არ უნდა დაენთო.

მეგრული კვირის შვიდი დღის დასახელება და სემიტური დღის სახელები თითქმის ერთი და იგივეა.

კვირის შვიდდღიანი კალენდარი, შექმნილია მთვარის კალენდარის მიხედვით, გადმოტანილია 11 დღე და გამოვიდა 365 დღე.

ქვედა მესოპოტამიაში აღმოჩენილ ხუთ პლანეტას – მერკურს, მარსს, იუპიტერს, ვენერას და სატურნის, იქაურმა სწავლულებმა დაუმატეს მნათობელნი მზე და მთვარე და ამისგან შეიქმნეს კვირის 7 დღე. ჩვენი ხალხი დღესაც სარგებლობს სემიტებზე ადრე შექმნილი შვიდი დღის სახელების სისტემით.

როგორც აღინიშნა. დღის სახელები: არია, ერმი, აფროდიტა, დიოსი, კრონოსი – ქართულში შემორჩა უძველესი დროიდან.

„ვეფხისტყაოსანში მათი სინონიმებია: მარიხი, ოტარდი, ასპიროზი, მუშთარი და ზუალი, რაც არაბული სახელწოდებებია.

ლაზურად კვირის დღეებს ქვია: ბჟაშხა (მზის დღე, კვირა), თუთაშხა (მთვარის დღე – ორშაბათი), იკინჩხა (სამშაბათი), ჯუმგაჩხა (ოთხშაბათი), უმქისერთი, ჩაჩხა (ხუთშაბათი), პარასკა (პარასკევი), საპ(ბ)ატონი (შაბათი).

სვანურად კვირის დღეებს ჰქვია: მიჭლადელ (მზის დღე კვირა), დეშდიშ (დოშდოლი – მთვარის დღე – ორშაბათი), თახაშ (სამშაბათი), ჯუმაშ (ოთხშაბათი), ცაში (ხუთშაბათი), ვებიში (პარასკევი), საბატინი (საბატონო, შაბათი) (იხ. **კ. შელია,** კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე, გვ. 215-217).

როგორც აღინიშნა და როგორც ცნობილია, მთვარის დღეა ორშაბათი – თუთაშხა. მისი სიმბოლო და წმინდა ცხოველია ხარი. ხარის რქებს, ერთგვარად მთვარის ფორმა აქვს. ის (ხარი) ძლიერი ცხოველია და შეუცვლელია მიწათმოქმედებაში. ამდენად მთვარის კულტი მიწათმოქმედ-გეორგიანულ ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული. შემთხვევით, არაა, რომ ხარია გამოსახული (ეს ძლიერი ცხოველი) პირველ კოლხურ მონეტაში – კოლხურ თეთრზე.

ქრისტიანობის შემდეგ, წმინდა და ძლიერი ცხოველი ხარი – წმინდა გიორგის და მთავარანგელოზთა შესაწირ ცხოველად იქცა.

ხარს ხშირად უკავშირებენ რომელიმე სალოცავს – თმულებით ორ ხარს რკინის უღელი დაადგეს და სადაც გაჩერდნენ, აშენეს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. თქმულებით სვანეთში... ხარმა მლეთას რომ მიადწია უსულოდ დაეცა და იმ ადგილზე ააგეს ლომისის წმინდა გიორგის სალოცავი. სვანეთში ზაფხულში ხარების ბრძოლის შემდეგ ხდება მათი შეწირვა, რითაც იწყება რელიგიური რიტუალი. ასეთ რიტუალს სამეგრელოში ერქვა კურული, რომელიც ძალიან გავს ძველ ხეთურ – მცირეაზიურ და ტაიურმახის ხმელთაშუაზღვისპირულ (რომელი ტერიტორიებიც ძველ ეპოქაში მეგრელთა საცხოვრებელი იყო) რიტუალებს.

გაუგებრად მიგვაჩნია ის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, თითქმის განხილვის საგნად არ გამხდარა **„ქართლის ცხოვრების“** მემატიანის მიერ (აქ სამეგრელოზე არ არის ლაპარაკი) ქართველი ხალხის ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გაყალბება. აგრეთვე ჟურნალ **„აიაში“** – წლების განმავლობაში კოლხეთის ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქება; ასევე თითქმის არავის გახსენებია იოსებ ყიფშიძის შრომები სამეგრელოს შესახებ. ან, აქვე, ქვემოთ ჩამოთვლილ ავტორთა შრომებში სრულიად ახლებური ხედვა ძველი და ახალი საქართველოს, კოლხეთის, აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე (ე. ი. არსებობს სამეგრელოს წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ფორმებიც). ყველა გაჩუმებულია, ვითომ ეს შრომები არ არსებობდნენ. რატომ ვცდილობთ, თუ რაიმე ისტორიული მნიშვნელობის წყარო აღმოჩნდა ან გამოვიდა მნიშვნელოვანი სტატია, ნაშრომი, წიგნი თუ მონოგრაფია, დავაკნინოთ მათი მნიშვნელობა ან უბრალოდ **„ვერ შევამჩნიოთ“** და ასეთ ნაშრომებზე თუ ვინმემ რამე თქვა – აუცილებლად (რაც გინდა დირებული არ იყოს) უარყოფითი უნდა ვთქვათ.

ჩამოვთვლით ზოგიერთ ავტორს და წიგნებს: ანზორ შონიას წიგნები: **„გვარები მეტყველებენ“** („აფხაზური“ გვარების ისტორიისათვის. 1997წ.), „დიდი საქართველოს ტრაგედია“ (1998წ.), **„ეგრისის სამეფო და საქართველოს სახელმწიფოებრიობა“** (2003წ.), **„აფხაზეთი: ტოლფასი უთქმელობა“** (2004წ.), **„კოლხები – ქართველების წინაპრები“** (2007წ.); კოჩა კოლხი (კუკური ფიფია) – **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“** (620 გვერდი, 2004წ.); სიმონ ზაქარაია – „დევნილები გოლგოთის გზაზე“ (2005წ.): ბადა (ნუგუსი) სოფია – **„ლაზ-მეგრელთა ჩვენსწელთაღრიცხვამდელი ისტორია“** (440 გვერდი, 2006წ.); ედუარდ ჭანტურია **„ლაზების (ჭანების) წარაკითხვისა და სწავლა-განათლების ისტორიისათვის“** (გვერდი 440, 2006წ.), მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ვლადიმერ ვახანია – 7 ტომი – **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** (თითოეული ტომი 620-650 გვერდია, 2007წ.); ვანო მეგრელი – **„აფხაზეთი საქართველოა“,** (გვ. 350, 2009 წ.); კ. შელია – **„ძველი კოლხეთი-კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“**, 2004წ.) და სხვები. ე. ი. ხმა არავის ამოუღია ცნობილი მკვლევარების კოლხეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი შრომების შესახებ.

კოჩა კოლხის წიგნის სახელწოდება **„ძველ კოლხური ენის საიდუმლოებანი“** ნუთუ არაფერს ეუბნება ენათმეცნიერებს, წიგნის ავტორმა რამდენჯერმე დააყენა საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე, მისცენ წიგნს შესაფერისი შეფასება (წაიკითხონ მაინც), მაგრამ პასუხს არავინ არ აძლევს, ამ დროს – საკითხს მომავლისათვის დებენ.

მხოლოდ ერთადერთი რაც გაკეთდა ის იყო, რომ მამაშვილი მამანტი და ცირა ძაძამიების და ვლადიმერ ვახანიას ფუნდამენტური, უნიკალური შვიდტომეული, რომელიც გადატრიალებაა ენათმეცნიერებაში, გაზეთ **„ასავალ-დასავალმა“** გამოაქვეყნა მცირე შესავალი და ცნობილი ჟურნალისტის ვალერი კვარაცხელიას მიმოხილვითი წერილი წიგნებისა და ავტორთა ფოტოსურათებით (**ვალერი კვარაცხელია,** რატომ ვამცირებთ ქართველურ ენათა ლექსიკას 10 მილიონი სიტყვით. გაზ. **„ასავალ-დასავალი“,** 2007, 29 ოქტომბერი 4 ნომერი.), შემდგომში გამოქვეყნდა – ინტერვიუ მ. ძაძამიასთან. მაგრამ რატომ სდუმან სხვები, კერძოდ, სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებში! ე.წ. ოფიციოზი დუმს. – რატომ?

იქვეა გამოქვეყნებული ვალერი კვარაცხელიას ექვსკუპლეტიანი შესანიშნავი ლექსი: **„მეფერებოდნენ როცა მეგრულად, მეფერებოდნენ თურმე ქართულად! ვუძღვნი მამანტი და ცირა ძაძამიებს და ვლადიმერ ვახანიას“.**

თუ ზემოთ ლაპარაკი გვქონდა ლაზურ-მეგრულ ჭანურ ენობრივ დამთხვევებზე ლათინურთან, ეგვიპტურთან, **„შუმერულ-ბიზანტიურთან“** და გეოგრაფიულ სახელწოდებებზე და სხვა საკითხებზე, ახლა საუბარი გვექნება ლათინებთან, ეგვიპტე-ერაყის დღევანდელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებთან კოლხეთის ურთიერთობის სხვა ასპექტებზე.

ბიბლიის მიხედვით დღევანდელ ერაყში, მდინარეების – ტიგროსისა და ევფრატის შესართავთან, დაბა ელკურნაში, მის ცენტრთან ახლოს – ედემის ბაღში, სადაც ღმერთმა დაასახლა ევა და ადამი (ე. ი. ბიბლიის მიხედვით, ღმერთის მიერ ედემბაღში დასახლებული პირველი ადამიანი ადამი იყო. ღმერთმა მის მიერ გაჩენილ პირველ ადამიანს **„ადამი“** უწოდა. მსოფლიოში არსებული მრავალათასი ენიდან **„ადამიანი“** მხოლოდ ქართულ ენაშია. ადამი კოლხურ-მეგრული სახელია. ადამი მსოფლიოს ყველა ენის მოსახლეობისთვის გასაგებია), დგას გამხმარი ხე, საიდანაც, ევამ აკრძალული ნაყოფი მოწყვიტა. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ: ლათინურად მორს+უს არის **„კბენა“,** კოლხურად კი **„მორსება“,„კბეჩა“** – ხილის გემოს გასინჯვა (მაგ. **„ვაშლის კბეჩა“).** სამწუხაროდ, ევას მიერ ვაშლის ასეთი კბეჩით დაიწყო კაცობრიობის ტრაგიკული პერიოდი – ევასა და ადამის გამოდევნა ედემიდან. ცნობილია, რომ ვაშლს ბრალს სდებენ – ეჭვმიტანილია ევასა და ადამის შეცდენაში, ტროას ომის დაწყებაში (რომელიც 19 წელი გრძელდებოდა და მთლიანად განადგურდა ქ. ტროა), ფიფქიას მოწამვლაში და სხვა; მიუხედავად ამისა, ვაშლი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საყვარელი ხილია მთელ მსოფლიოში... ევამ ვერ გაუძლო ცდუნებას, ცნობისმოყვარეობამ დაძლია და **„გამორს“** – გასინჯა ვაშლის გემო (რა ლამაზად ჟღერს კოლხური სიტყვა **„მორსება“,** ის არც **„კბენაა“** და არც **„კბეჩა“,** თუმცა, ამ შემთხვევაში **„კბეჩას“** გულისხმობს). ეს არის მორსება-გასინჯვა-ცდა სამყაროს კოლხურად შემეცნებისა, გაგებისა. ევა და ადამი ედემის ბაღში, რომელიც სამოთხე იყო, უზრუნველად ცხოვრობდნენ. ღმერთმა დაარიგა ისინი არ შეხებოდნენ ბაღის შუაგულში მდგარ ხის ნაყოფს (ლეღვი). როგორც ამტკიცებენ, აღნიშნული ხე ლეღვი იყო და არა ვაშლი, მაგრამ ყველა მიუთითებს ვაშლის ხეზე.

ბოროტ სულს შეეხარბა ევასა და ადამის ნეტარი ცხოვრება და გადაწყვიტა ისინი ღმერთისათვის დაეპირისპირებინა, ჩასახლდა გველის სხეულში, აამეტყველა გველი, რომელმაც ევას უთხრა: იმ ბოროტისა და კეთილის შემცნობი ხილის ჭამა ღმერთმა იმიტომ აგიკრძალათ, რომ თქვენ არ ამაღლდეთ ღმერთამდე. ევა წამოეგო ბოროტი სულის ცდუნებას, მოწყვიტა აკრძალული ხილი და ჭამა, მერე ადამიც აცდუნა და აკრძალული ხილი იმანაც შეჭამა. ღმერთმა ევა და ადამი ედემის ბაღიდან გამოიყვანა და უთხრა ადამს: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხილის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული გქონდათ, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე, პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე.

ადამსა და ევას შეეძინათ შვილები: კაენი, აბელი, სეთი (შეთი). კაენი იყო მიწის მუშა, აბელი – მწყემსი. მათ ღმერთისათვის შესაწირი უნდა მიეტანათ. კაენმა უფალს მიართვა ძღვენი მიწის ნაყოფი, აბელმა კი თავისი ფარის რჩეული პირუტყვი. აბელი წრფელი გულით, ღვთის სიყვარულით სწირავდა მსხვერპლს, კაენი – ვალის მოხდის მიზნით. უფალმა აბელის მსხვერპლი შეიწირა, კაენის – არა.

კაენი ბოროტი და უგუნური აღმოჩნდა. მას ეგონა, რომ მის ჩანაფიქრს და მოქმედებას ღმერთი ვერ მიხვდებოდა. კაენმა ვერ გაითვალისწინა ის, რომ ღმერთი ყოვლისმხილველია, ყველაფერი იცის, რომ მათ (ადამიანებს) თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა და არ აღუდგა წინ მათ მოქმედებას.

კაენმა უთხრა თავის ძმას, გავიდეთ ველადო და როცა ველად იყვნენ, თავს დაესხა აბელს და მოკლა იგი. ღმერთმა ჰკითხა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? კაენმა უპასუხა: არ ვიცი, ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარო. უფალმა ყველაფერი იცოდა.

კაენის შთამომავლობა ბოროტ გზას დაადგა – იყო მკვლელობა და სხვა ბოროტებანი, ღმერთი დაივიწყეს. მათ შორის აღმოჩნდა ერთი კაცი ნოე, ღვთის მოყვარული. თვითონ და მისი ოჯახიც წესიერი იყო.

უფალმა ნოეს უთხრა: ააგე კიდობანი (ხომალდი), შიგ შეიყვანე შენი ცოლი, შენი სამივე ვაჟი: სემი, ქამი და იაფეტი თავიანთი ოჯახებით. ასევე კიდობანში შეიყვანეთ ყველა ცხოველისა და ფრინველის შვიდ-შვიდი წყვილი. ნოემ შეასრულა ღვთის ბრძანება. დაიწყო წარღვნა. 40 დღე-ღამე წვიმდა. დაიფარა წყლით მთებიც. 150 დღე დაცურავდა კიდობანი წყლის ზედაპირზე. მერე წყალმა დაიწყო კლება და კიდობანი არარატის მთებთან გაჩერდა. კიდობანიდან გადმოსულებმა გამრავლება იწყეს. ნოე მიწათმოქმედებას დაუბრუნდა.

სემის შთამომავლები არიან: ებრაელები, არაბები, ასურელები, ბიბილონელები, ფინიკიელები, სირიელები და სხვა მათი მონათესავე ხალხი (მათი შთამომავლები სემიტები, მათი ენა-სემიტური).

ქამის შთამომავლები არიან ეთიოპელები, ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთი სხვა ხალხები და ქანაანელები.

იაფეტს ჰყავდა შვიდი შვილი: (ვაჟები): გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი, რომელთა შთამომავლები იყვნენ ინდოეთში, დასავლეთ აზიაში და ევროპაში მცხოვრებნი. მათ ინდოევროპელები უწოდეს. იაფეტის მეხუთე და მეექვსე შვილებიდან – თუბალი და მეშექი, უნდა იყვნენ ქართული ტომები.

ინგლისელმა ბიოლოგებმა, თუ ამის დაჯერება შეიძლება, შესძლეს ედემის ბაღის იმ ადგილის პოვნა სადაც ეშმაკმა ევას და ადამს ვაშლი აგემეს. ინგლისელ მეცნიერებს ეს დაუდგენიათ ვაშლის (ვაშლი კი არ იყო, არამედ ლეღვი!) დეენემის ანალიზით. ოქსფორდის უნივერსიტეტელები ამტკიცებენ, რომ იმ პერიოდში საჭმელად ვარგისი ვაშლი მხოლოდ თანამედროვე ყაზახეთის ტერიტორიაზე იზრდებოდა და სამოთხის ბაღს კაცობრიობა იქ უნდა ეძებოს. ჩვენი აზრით, ინგლისელ ბიოლოგთა ეს მიგნება საეჭვო ჩანს.

ცნობილია, რომ ზოგიერთები თვის 13 რიცხვს არ სწყალობენ და უცნაურობებს მიაწერენ: ერთ-ერთი ყველაზე ძველი ვერსიით 13 რიცხვში გაუსინჯეს გემო ევამ და ადამმა აკრძალულ ხილს.

სხვა ვერსიით თვის მე-13 დღეს კაენმა დაივიწყა ოჯახური კავშირი და საკუთარი ძმა აბელი მოკლა.

იმასაც მიუთითებენ, რომ ქრისტესთან ტრაპეზზე 13 ადამიანი იჯდა თავად იესო და კიდევ 12 მისი მოწაფე, მეცამეტე იუდა იყო. რომელმაც ცდუნებას ვერ გაუძლო და ძე ღვთისა 30 ვერცხლად გაყიდა.

1893 წელს **„ივერიას“** ასეთი მასალა გამოუქვეყნებია: რატომ ევას არა ჰყავდა მოახლე? ერთი ამერიკელი ამის პასუხად წერს: იმიტომ, რომ ევასათვის მოახლე სრულიად არ იყო საჭირო. ადამი არასდროს არ სთხოვდა ხოლმე ევას წინდები მოქსოვე ან კიდევ სერთუკზე ღილი ამწყდა და დამიკერეო. არ უთხოვია აგრეთვე ხელთათმანი გამერღვა და გამიკერეო. ადამს ჩვევად არა ჰქონია მზის ჩასვლის დროს სამოთხეში დივანზე წამოჭიმულიყო და გაზეთების კითხვა დაეწყო და როცა კითხვას მორჩებოდა, მოუთმენლად წამოეძახოს: **„ნუთუ ვახშამი ჯერ მზად არ არისო?“** ადამი თვითონ აჩაღებდა ცეცხლს და საჭმელსაც თვითონვე ხარშავდა. ერთი სიტყვით, ოჯახში ყველაფერს აკეთებდა... სადილის დროს შინისკენ რომ გამოსწევდა, არასდროს თან არ მოუყვანია მშიერი მეგობრები და ევასთვის არ უბრძანებია **„აბა ჩქარა სადილიო!“**...

ადამს არასდროს რესტორანში არ უქეიფნია დამე იმ დროს, როცა ევა პატარა კაენს აკვანში არწევდა და ტკბილ ნანას ეუბნებოდა. აგრეთვე ადამს ჩვეულებად არ ჰქონია თავისი წაღები აქეთ-იქით კუთხეებში გადაეყარა და მეორე დღეს ევასთვის ჩხუბი დაეწყო: **„ჩემი წაღები რა იქნაო“.** ერთი სიტყვით, ადამს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ღმერთმა ცოლი იმისთვის მომცა, რომ მემსახუროსო. აი ბატონებო, ყველა ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ევასთვის მოახლე საჭირო არ იყო, წერდა **„ივერია“.**

სიტყვა ადამიანი, როგორც ზემოთ ითქვა, წარმოშობილია სიტყვა ადამიდან. სხვა არც ერთი ხალხის ენაში მზგავს მოვლენას არ აქვს ადგილი.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲐᲑᲐ, ᲛᲘᲨᲐ, ДАВАЙ, ДОСВИДАНИЯ!

ანუ, "უსასრულო" სააკიანადის სამარცხვინო დასასრული...

8 თებერვლამდე კიდევ სჯეროდა ქართველ ხალხს, რომ ნაცმოძრაობას და მათ ნეტარღიმილიან ბელად სააკიანცს რაღაც ვერაგობა ჰქონდათ ჩაფიქრებული და აპრილის თვეში გამოიყენებდნენ კონსტიტუციის იმ პუნქტს, რომელიც პრეზიდენტს განუსაზღვრელ უფლებებს აძლევს – შეუძლია ერთპიროვნულად დაითხოვოს როგორც პარლამენტი, ისევე მთავრობაც, შემდეგ საკუთარი სურვილისამებრ დანიშნოს მთავრობა და მას ჩაატარებინოს რიგგარეშე არჩევნები, რაც, როგორც წესი, გაყალბებით დამთავრდებოდა. მაგრამ 8 თებერვალს ნაცები და მათი ბელადი სააკაშვილი ქართველი ხალხის ისეთ ზიზღსა და სიძულვილს წააწყდნენ, რომ სახეზე ირონიული ღიმილი წაეშალათ და ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილიც საბოლოოდ გაუქრათ! მათ მიერვე მოწყობილი ბინძური პროვოკაციის შედეგად, რასაც, სამწუხაროდ, წამოეგნენ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან საპროტესტოდ მისული ყოფილი პოლიტპატიმრები თუ უბრალო მოქალაქეები, ნაციონალებს დარჩათ თბილისის გაძუძგნული მერი გიგი უგულავა, ასევე გაძუძგნული პარლამენტარები ზურაბ ჯაფარიძე და დავით დარჩიაშვილი, თმებით ნათრევი ენასაქსაქა პარლამენტარი ირმა ნადირაშვილი (ახლადგაღვიძებულ მაჩვს რომ მიუგავს სახე) და ცხვირსისხლიანი (ეგენი ყველანი პირსისხლიანები არიან) შხამისმფრქვეველი პარლამენტარი დიაცი ჩიორა თაქთაქიშვილი. დანარჩენები იმიტომ გადაურჩნენ ხალხის რისხვას, რომ პოლიციის მიერ დაცული საიდუმლო შესასვლელით მოხვდნენ ბიბლიოთეკის შენობაში.

გამოდგნენ შემდეგ ეს არაქალები და არაკაცები და ყველაფერი პოლიციას დააბრალეს. არა და, პოლიციას და პირადად შინაგან საქმეთა მინისტრს რომ არ ემარჯვათ, იქ ზუსტად იმდენი **"ნაცი"** გაიძუყნებოდა, რამდენიც ჩვეული უტიფრობით ცდილობდა ისედაც განრისხებული ქართველი ხალხის პროვოცირებას!

ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს ამ არარაობებმა – სულ **"კრიმინალები"** და **"ბრბო"** უძახეს მათ მიერვე გაუბედურებულ, პოლიტიკური პატიმრის სტატუსით ციხეებში უკანონოდ გამომწყვდეულ უდანაშაულო ადამიანებს. როგორც ამბობენ: **"კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს"!** არც ეს სამარე ასცდებათ, თუ დროზე ვერ გამოიტანენ სათანადო დასკვნებს და საჯაროდ არ მოუხდიან ბოდიშს მათ მიერვე დაწიხლულ და სასტიკად შეურაცხყოფილ საქართველოს!

არავინ იფიქროს, რომ ვიწონებდეთ თუნდაც ჩემი გუნდის წევრისაგან ქალზე ხელის აღმართვას, მაგრამ ესენი ხომ ქალები არ არიან?! როგორ შეიძლება ამაღლებული სიტყვა **"ქალი"** უწოდო თაქთაქიშვილისნაირ და თუთბერიძისნაირ სიმახინჯეებს, რომელთაც ოდნავადაც არ აწუხებთ მათ მიერვე დათრგუნული და ციხეებში გამომწყვდეული უდანაშაულო ადამიანების ბედი, რომლებიც ამართლებენ პატიმრების არაადამიანური წამების ფაქტებს და პროტესტს აცხადებენ პატიმრების მწამებელთა დაპატიმრების ფაქტებზე, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ შეუნარჩუნონ სააკიანცს დიქტატორის სტატუსი, რასაც შეიძლება ღრმა პოლიტიკური კრიზისი და სისხლისღვრაც კი მოჰყვეს...

ამიტომაც ვერ შეიკავეს ბიბლიოთეკასთან თავმოყრილმა ადამიანებმა თავი და კიდევ ერთხელ დაანახეს ნაცბანდას და მათ ატამან სააკიანცს, რომ თუ ისინი ქართველი ხალხის სიმშვიდის ხელყოფას განიზრახავენ, მძიმე სასჯელს ვერ გადაურჩებიან!

ეს გახლდათ ის განაჩენი, რამაც საბოლოოდ ჩაკლა ნაციონალ ბანდიტებში რევანშის სურვილი, ხოლო ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ხალხის ხმაურში ეფემერულად გამოიკვეთა ქალაქურ მოტივებზე შესრულებული სიმღერა: **აბა, მიშა, ДАВАЙ, ДОСВИДАНИЯ!**

გზაც იქით ჰქონიათ!

რაც შეეხება ქართულ საზოგადოებას, იგი მომხდარზე უფრო აღაშფოთა ამერიკის ელჩის რიჩარდ ნორლანდის საკმაოდ თავხედურმა განცხადებამ იმის თაობზე, რომ, რაც დღეს თბილისში მოხდა, ეს დემოკრატია არ არისო. საინტერესოა, რა მიაჩნია ნორლანდს დემოკრატიად. იქნებ ის, როცა ამერიკის სკოლებში თითქმის ყოველ დღე შევარდება ხოლმე ავტომატით შეიარაღებული მკვლელი და ბავშვების გვამებისაგან ზედახორას რომ აღმართავს ხოლმე.

იქნებ რიჩარდ ნორლანდმა ისიც გაიხსენოს, რომ სწორედ ამერიკელთა ხელდასხმით მოაჯდა ქართველ ხალხს წურბელასავით სააკაშვილი და მისი ბანდა და ცხრა წლის განმავლობაში სწოვდა სისხლს, რაც ნაცებისადმი ესოდენ დიდი ზიზღის მიზეზი გახლავთ. რა უფლება აქვს უცხო ქვეყნის ელჩს, რომ გააკეთოს ამგვარი თავხედური განცხადებები და არ გაითვალისწინოს მთელი ერის გულისთქმა?!

იქნებ ვურჩიოთ ნორლანდს, რომ ყველამ თავისი ქვეყნის ჩასვრილ საქმეებს უნდა მიხედოს – არა მგონია, რომ ამ მხრივ მას ამერიკაში საზრუნავი და სამუშაო მოაკლდეს!..

რაც შეეხება სააკაშვილისა და ნაცების ტუალეტის ქაღალდად და **"ოლვეის ულტრად"** ქცეულ ტელეარხებს **"რუსთავი-2"**-სა და საზოგადოებრივ მაუწყებელს, მათ ჩვეული უტიფრობით გააგრძელეს სიცრუის ტირაჟირება მომხდართან დაკავშირებით, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ ცრუპენტელებისა უკვე აღარავის სჯერა!

ახლა კი მცირე ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სინამდვილეში რა მოხდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან 2013 წლის 8 თებერვალს:

ᲨᲝᲣ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲙᲚᲓᲐ

...ცოცხები, კვერცხები და გასული წლების განმავლობაში დარბეული აქციების ამსახველი ფოტომასალა – ეს ის მთავარი სიმბოლოებია, რომლებითაც ეროვნული ბიბლიოთეკის შენობასთან გამართული საპროტეტო აქციის ფონი შეიქმნა.

დიდი გულის მოფხანვა, ბედის ირონია, უმცირესობაში მყოფი პოლიტიკოსების ჩაგვრა, ჯანსაღი პროტესტი, თუ პოლიტიკური რეიტინგის გამყარებისთვის მსხვერპლად გაღებული დაჟეჟილობები. თქვენთვის მისაღები შეფასების მორგების საშუალებას ის ფაქტები მოგცემთ, რომლებზეც ქვემოთ მოგიყვებით. მანამდე კი ისევ ქართული საპროტესტო **"კულტურის"** განვითარების ისტორიას დავუბრუნდები და შევეცდები, მთავარი განსხვავებები დაგანახოთ.

სათქმელს ყველაზე კარგად ის ჟურნალისტები მიმიხვდებიან, რომლებთან ერთადაც გასული წლების განმავლობაში არაერთი აქცია გავაშუქე და ბევრი ნაცემი ადამიანიც მინახავს.

ყველაზე სიმბოლური მაინც პოლიციის თანამშრომლებისა და წარსულში დარბეული აქციების დროს ნაცემი და დაპატიმრებული ადამიანების ურთიერთქმედება იყო. შესაძლოა, იმ პოლიციელთაგან, რომლებიც დარბევებში მონაწილეობდნენ, დღეს ბიბლიოთეკასთან არც ერთი არ ყოფილა, თუმცა აშკარა იყო, რომ სამართალდამცავებს შენობასთან გამოფენილი შემზარავი ფოტოები და მათივე უწყებების თანამშრომლების ძველი ცოდვები მეტი თავშეკავებისკენ მიუთითებდნენ. ალბათ ყველაფერი შედარებით რბილ ფორმებში და ნაკლები დაჟეჟილობებით დასრულდებოდა, პოლიციელების ლოიალობა და თავშეკავებულობა უმოქმედობაში რომ არ გადაზრდილიყო.

მოგვიანებით, როდესაც 7 ნოემბრისა და 26 მაისის ფოტოების ავტორი ფოტოგრაფები უკვე გიგი უგულავასა და **"ნაციონალური მოძრაობის"** ლიდერების ცემის კადრებს იღებდნენ, პოლიციელები, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტურად მოქმედებდნენ.

თბილისის მერისა და უმცირესობის წარმომადგენლების გამოჩენა ცალკე მსჯელობის საგანია და ვიდრე შოუს მთავარ წარმოდგენამდე მივალთ იმ ადამიანზე გეტყვით, რომელიც დემონსტრანტებმა პირველი დიდი აპლოდისმენტებით და რამდენიმე ლაყე კვერცხით დააჯილდოვეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს თენგიზ გუნავას კვერცხები სწორედ მაშინ მოხვდა, როდესაც **"დიდ უფლებადამცველთან და საპროტესტო აქციებზე ცემა-ტყეპაში გამოწრთობილ"** მელორ ვაჩნაძესთან რამდენიმეწუთიანი ჭიდაობა დაასრულა და ბიბლიოთეკის შენობაში შედიოდა. თენგიზ გუნავას გამბედავი გამოსვლის საპატიო მაყურებლებს შორის აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდიც იყო, თუმცა მათ შორის, ვინც მსგავს ფაქტებზე, როგორც წესი შეშფოთებას ან ღრმა შეშფოთებას გამოთქვამენ ხოლმე, მხოლოდ ნორლანდი არ ყოფილა. რამდენიმე საათიან დაძაბულ პროცესს სხვა ქვეყნების ელჩებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ, რომლებიც ბიბლიოთეკაში პრეზიდენტყოფილ მიხეილ სააკაშვილის მოსასმენად მივიდნენ.

ერთ-ერთი ელჩი საღამოს ყველაზე გამორჩეული მომენტის თვითმხილველიც გახდა, სამწუხაროდ მანქანაზე მიმაგრებული დროშის გამოსახულება კარგად ვერ გავარჩიე, თუმცა ამის ობიექტური მიზეზი მქონდა. მანქანის წინ გიგი უგულავას, პავლე კუბლაშვილს, ლევან ბეჟაშვილს, გიგა ნასარიძეს, ნიკოლოზ მელიას და **"ნაციონალური მოძრაობის"** სხვა ლიდერებს აფურთხებდნენ, აგინებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ისინიც შეძლებისდაგვარად იცავდნენ თავს.

ამასთან, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გიგი უგულავა პროვოკაციული შეძახილებით მივიდა – **"ჰა, დადგით შოუ"**, რასაც ბიბლიოთეკასთან შეკრებილების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა, გიგი უგულავას კვერცხები ესროლეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის, კოკი იონათამაშვილის ინფორმაციით, მის თანაგუნდელ ჩიორა თაქთაშვილზე ფიზიკური ზეწოლა განხორციელდა. **"მეორე არხის"** მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ჩიორა თაქთაშვილს სახეზე ფიზიკური დაზიანების ნიშნები აღენიშნება.

აღსანიშნავია, რომ უმცირესობის ლიდერების გამოჩენა ყველასთვის მოულოდნელი იყო, რადგან მათ სრულიად სხვა მიმართულებიდან ელოდებოდნენ. ქაშუეთის მხარეს პოლიციელები საკმაოდ დიდი რაოდენობით იყვნენ მობილიზებული. მათ მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ქუჩა აქტივისტებიგან გაიწმინდა, გათავისუფლდა შენობის შესასვლელი და გაკეთდა კორიდორი, თუმცა უმცირესობის წევრებმა რატომღაც **"ხალხთან სიახლოვის"** გზა აირჩიეს და ზედა ქუჩიდან ჩამოსულები პირდაპირ გაღიზიანებული დემონსტრანტების შუაგულში აღმოჩნდნენ. რამდენიმეწუთიანი ჩხუბი და გაწევ-გამოწევა იმით დასრულდა, რომ საფუძვლიანად ნაბეგვმა და ნაფურთხებმა გიგი უგულავამ და მისმა თანმხლებმა პირებმა ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია სასწრაფოდ დატოვეს.

ამ ინცინდენტის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვეტილება შეცვალა და ბიბლიოთეკაში აღარ მიდიოდა, თუმცა აქციის მონაწილეები მთავარი გმირის გამოჩენის იმედით მაინც არ დაშლილან. ამ დროს ქაშუეთის მხრიდან ესკორტის გამოჩენას დიდი აურზაური მოყვა. ეს ის მომენტია, როდესაც სცენარი რადიკალურად შეიცვალა. უფრო მხატვრული ფილმის **happy end**-ს გავდა, გაბრაზებული ხალხის მასა ოვაციებით შეხვდა მანქანიდან გადმოსულ შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს.

ოდნავ მოგვიანებით ირაკლი ღარიბაშვილმა ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა და ნამდვილად ეფექტური პიარსვლაც გამოუვიდა. მინისტრი პატრულის მანქანაში აღმოჩნდა და, როგორც რიგითმა პოლიციელმა **"რაციის"** გამოყენებით აქტივისტებს დაშლისა და წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა. აქტივისტებიც ბრძანებას დაემორჩილნენ შედეგი მიღწეულად ჩათვალეს.

...რამდენიმე წუთში ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მხოლოდ **"გაღიმებული ჟურნალისტები"** დავრჩით, სააკაშვილისა და ნაციონალების მოწყობილმა პროვოკაციამ კი აშკარად ვერ მიაღწია მიზანს და ვერ შესძლო კონსტიტუციასთან ნაცების აგდებული დამოკიდებულების გამოვლენის გადაფარვა, რაც ქართველი ხალხის გულისწყრომაში გადაიზარდა.

ბ. პატურაშვილი

ირმა ჭკადუა – შსს-ს მიერ აუქციონზე გატანილ ავტომობილებში 20-მდე პირმა საკუთარი ავტომობილი იცნო

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აუქციონზე გატანილ ავტომობილებში 20-მდე პირმა საკუთარი ავტომობილი იცნო.

როგორც ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განაცხადა, აღნიშნული პირები აცხადებენ, რომ მათ ავტომობილები უკანონოდ წაართვეს და მის დაბრუნებას მოითხოვენ. მისივე ინფორმაციით, საქმეზე მთავარ პროკურატურას გამოძიება უკვე დაწყებული აქვს.

"წინა ხელისუფლება, როდესაც აკავებდა გარკვეულ პიროვნებებს, განაჩენის გარეშე აიძულებდა მათ როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონებები გადაეფორმებინათ ძალოვანი სტრუქტურების სახელზე ან ხშირ შემთხვევაში კერძო პირების სახელზე, რომლებიც შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროზე აფორმებდნენ. ბუნებრივია, ეს იყო უკანონო ქმედება, თუმცა, წინა ხელისუფლების პირობებში აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. დაახლოებით ერთი თვის წინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება და აჩვენა ავტომობილები, რომლების გატანასაც აპირებენ აუქციონზე. აღნიშნულ ავტომობილებში ძალიან ბევრმა ადამიანმა ამოიცნო საკუთარი ავტომობილები, რომლებიც იძულებით და შანტაჟის გზით იქნა გადაფორმებული მათ მიერ, ხოლო განაჩენში ის მანქანები მოხსენიებული არ არის. ჩვენ მივმართეთ მთავარ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და კატეგორიულად მოვითხოვთ, შეაჩერონ ამ ავტომობილების აუქციონზე გატანა, დაუბრუნდეს ისინი კანონიერ მესაკუთრეებს და არ დაუშვას წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების ახალი ხელისუფლების მიერ დაკანონება", – განაცხადა ჭკადუამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის ბალანსზე არსებული ძვირადღირებული ავტომანქანების აუქციონის წესით გაყიდვასთან დაკავშირებით განცხადება გასული წლის 24 დეკემბერს გააკეთა.

სარეალიზაციოდ გამზადდა 50-მდე ავტომანქანა. საუბარია ისეთ ძვირადღირებულ მოდელებზე, როგორიცაა **Range Rover, Range Rover Sport, Range Rover truck, Mercedes S, ML, INYX6, X5 da M5**, რომლებიც უწყებაში ახალი მინისტრის დანიშვნამდე იყო შეძენილი.

თითოეული მანქანის ღირებულება ხშირ შემთხვევაში 100 000 დოლარს აჭარბებს, ხოლო მათი ტექნიკური მომსახურება, როგორც სამინისტროში აცხადებენ, ჯამში წელიწადში მილიონ ლარზე მეტი ჯდებოდა.

სააკაშვილი საქართველოს "არმენიზაციის" წინააღმდეგია

საქართველოს პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის **„არმენიზაციის"** წინააღმდეგია, რის შესახებაც მან ამას წინათ საწარმო **„დელტაში"** სტუმრობის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა. ამასთან, იგი მხარს უჭერს საპარლამენტო უმცირესობის წინადადებას, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი კონსტიტუციის მეშვეობით გამტკიცდეს.

„რამდენიმე განცხადება გაკეთდა, კერძოდ, განცხადება სომხეთში, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის არმენიზაცია და, კერძოდ, თანაბარი დისტანცია უნდა დავიკავოთ დასავლეთისგანაც და რუსეთისგანაც, რაც არ იყო ადრე საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულება და კურსი", – აღნიშნა ქვეყნის მეთაურმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა საქართველოს პრემიერის მიერ გაკეთებული განცხადებები სომხეთში ვიზიტისას.

პრეზიდენტმა კრიტიკულად შეაფასა აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის წინადადებაც. **„ერევანში უკვე გაკეთდა განცხადება, რომ გადიან ტექნიკურ დეტალებს აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით. რკინიგზა არის არა მხოლოდ ლეგალიზაცია რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციისა, პირდაპირ პლაცდარმს ვაძლევთ რუსეთს კავკასიის დაპყრობის. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, იმ სიტუაციაში, როცა რუსეთს მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ 2015 წელს ევრაზიის კავშირის სახით გარკვეულწილად აღადგინოს საბჭოთა კავშირი, საბჭოთა იმპერია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე"**, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მოკლედ, ხელისუფლების დაკარგვამ ისე აურია ტვინი სომეხ სააკაშვილს, რომ ახლა მზად არის მშობლიურ სომხეთსაც კი შეუტიოს! არა და, საქართველოში საკუთარი ცხრაწლიანი დიქტატურის განმავლობაში სომხური საქმის მეტი არაფერი უკეთებია. ამის დასტური გახლავთ თუნდაც ის, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანის შემდეგ განზრახული ჰქონდა საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანაც, რაც ყოველთვის წარმოადგენდა რეაქციონერი სომხების მრავალსაუკუნოვან ოცნებას, რადგან შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში დაუბრკოლებლად მოახერხებდნენ მათნაირი უჯიშოებისა და უჯილაგოების შემოთესლვას. მაგრამ, ჩაუვარდა კოვზი ნაცარში სააკიანს და ახლა მზად არის თავის ეთნიკურ თანამოძმეებსაც კი შეუტიოს.

საქინფორმი

ტურიზმის მარშრუტი არგონავტთა ნაკვალევზე

არაერთგზის ექსპედიცია ტურ ჰეიერდალის, ტიმ სევერინის და და სხვა სწავლული ენთუზიატებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან შეისწავლონ ჩვენი შორეული წინაპრების გაბედული და სარისკო საქმენი, აღადგინონ მათი ნაკვალევი ოკეანეებში, ზღვებში, მდინარეებსა თუ ხმელეთზე, არ უნდა დარჩეს უშედეგოდ.

სასურველია, რომ ზოგიერთი მათგანი საფუძვლად მივიჩნიოთ ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული მარშრუტის დასადგენად.

ცნობილმა მოგზაურმა და მკვლევარმა ტიმ სევერინმა, რომელმაც ააგო **"არგოს"** ანალოგიური ხომალდი, თავისი ექსპედიციით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმოგზაურა არგონავტთა ნაკვალევზე და ღუზა ჩაუშვა ძველი რომაელებისა და ბერძნების მადალი კულტურის მქონე ნაქალაქარის ვანის პირდაპირ, მდინარე რიონში. სამწუხაროდ, ტიმ სევერინის ექსპედიცია, დაახლოებით ოცდახუთი კილომეტრით გასცდა არგონავტთა ცურვის ბოლო წერტილს, იმის გამო, რომ საბოლოოდ არ იყო დადგენილი კოლხეთის სახელმწიფოსა და სამეფო სასახლის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. როგორც უკვე ვნახეთ, ძველი კოლხეთის ქალაქ-სახელმწიფო და სამეფო სასახლე მდებარეობდა მდინარე ტეხურის ხეობის ბოლოს, უნაგირას მთის ფერდობზე და მის მცირე ბორცვებზე, სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევის ტერიტორიაზე.

არგონავტებმა ღუზა ჩააგდეს მდინარე არაქსუს ნავსადგურ **"სუჯინასთან"** და სოფლების – ნორიო, წყემი და გეჯეთის გავლით მიადგნენ ძველი კოლხეთის ქალაქ-სახელმწიფოს და სამეფო სასახლის დიდი გალავნის საიმედოდ ჩარაზულ კარიბჭეს.

ქალაქ-სახელმწიფოს და სამეფო სასახლის სახელწოდება ყოფილა **"აიაია"**.

მონაკვეთი გზისა **"აიაია"**-ს და რიონს შორის ნავსადგურ **"სუჯინამდე"** შენარჩუნებული ყოფილა ახალი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

ამ გზის მთლიანობა დაირღვა, სოფელ ნორიოსთან, წყემამდე და სრულად დაფარა ის საქართველოს სამხედრო გზატკეცილმა. არგონავტთა მარშრუტი, რომლითაც გაემართნენ ისინი ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, შემდეგ თანმიმდევრობით განხოციელდა: ეგეოსის ზღვა, ბოსფორის სრუტე, შავი ზღვა, მდინარე ფაზისი, ნავსადგური **"სუჯინა"** , სოფლები: ნორიო, წყემი, გეჯეთი და კოლხეთის მაშინდელი დედაქალაქი **"აიაია"**.

ზემოთ ნაჩვენები მარშრუტი სამი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადის. ესენია – საბერძნეთი, თურქეთი და დასავლეთ საქართველო. ამ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობით და კავშირის დამყარებით აღნიშნული ეს მარშრუტი შეიძლება მიღებულ იქნას საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტად.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის ხელოვნებათმცოდნეები ძალას, ცოდნასა და ენერგიას არ დაიშურებენ ძველი ეგვიპტელების, რომაელებისა და ბერძნების უძველესი ხელოვნებისა და კულტურის მხატვრულად გაშუქებაზე და პროპაგანდის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში.

სამწუხაროდ, სრულად არ არის შესწავლილი ძველი კოლხების ხელოვნება და კულტურა. თუ თვალს მიმოვავლებთ კოლხეთის უძველეს სამეფოს ქალაქ-სახელმწიფოს **"აიაია"**-ს სამიათას სამასი წლის უკან ნაშენ გალავანს, უნიკალურ გვირაბს, სამეფო აბანოს, სამეფო სასახლეს და სხვა ნაგებობათა ნაშთებს, დავრწმუნდებით იმაში, რომ ის უძველესი ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშია.

აპოლონიოს როდოსელის **"არგონავტიკა"**-ს საშუალებით და წყალობით ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანაში იცნობენ კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს დამაარსებლისა და მისი პირველი მეფის აიეტის ნამოღვაწარს. მისი ფიზიკურად ხილვის საშუალება მრავალი ქვეყნის დაინტერესებულ პირთ არ გააჩნიათ. მისი

ნამოღვაწარი, რომელიც დაფარულია შორეული წარსულიდან დღემდე დაგროვილი კოსმოსური ფერფლით, დროა გაიწმინდოს და გამოვაჩინოთ ის მზის სინათლეზე. საქართველოსათვის საშვილთაშვილო საქმის გაკეთება იქნება ტურისტული მარშრუტის გახსნა არგონავტთა ნაკვალევზე.

ესე იგი, ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეადან კოლხეთის უძველეს ქალაქსახელმწიფო **"აიაია"**-მდე.

ვფიქრობ, რომ ამ საქმით დაინტერესდებიან საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები და, პირველ რიგში, ტურისტული სააგენტოები.

ამბროსი კილასონია

„ნაცმოძრაობა" ქუჩაში გაზაფხულზე გამოვა

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, **„ნაციონალური მოძრაობის"** გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ისინი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მთავრობას 4 წელიწადს ვეღარ დაელოდებიან. **„მთავრობას ჩვენ, პირდაპირ ვიძახი, 4 წელიწადს ვერ ვაცლით"**, – განაცხადა „ნაცმოძრაობის" ცენტრალურ ოფისში იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრისას მერაბიშვილმა და იქვე განმარტა, რომ ეს არ ნიშნავს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, თუმცა, გულისხმობს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მათ შორის, ქუჩის აქციების, სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტების და გადაბირების გზით ამ ხელისუფლების დასუსტებას.

„ეს რომ ყოფილიყო შედარებით ნორმალური ხელისუფლება, თუნდაც გაჩეჩილაძეზე იყოს საუბარი, მე გაჩეჩილაძეზე კარგი აზრის არა ვარ, მაგრამ შეიძლებოდა თქმა, 4 წელი დაველოდოთ. მაგრამ ამ მთავრობას ჩვენ 4 წელიწადს ვერ ვაცდით. ეს არ ნიშნავს, რომ მივვარდებით ხვალ და სახელმწიფო გადატრიალებას მოვაწყობთ და ჩამოვაგდებთ, მაგრამ ჩვენ მათ არ უნდა მივცეთ საშუალება, ის გეგმები, რაც აქვთ, როგორც გამოჩნდა, როგორც მინიმუმ საქართველოს დასუსტება, არ უნდა დავუშვათ. ხელისუფლებაში მოსვლა არ ნიშნავს მაინცდამაინც, რომ საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩავატაროთ. ამის სხვადასხვა მეთოდი არსებობს – რეალური საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება, სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება, ადამიანების გადაბირება", – აღნიშნა მერაბიშვილმა.

„როგორც კი დავბრუნდებით, ყველაფერს აღვადგენთ დაახლოებით 6 თვეში. ვისაც კომპიუტერული თამაშები უთამაშია, იცის, რომ პირველად არის თამაში ძნელი, თორემ მეორედ უკე ადვილად გადიხარ", – აღნიშნა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, პარტიას მოქმედი ხელისუფლების დასუსტების გეგმა უკვე აქვს.

„ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევავიწროვოთ ეს ხელისუფლება და დავაჩქაროთ ამ ხელისუფლების ცვლილება. როგორი ფორმით, ამას აჩვენებს დრო და ის საშუალება, რომელიც გვექნება. დღეს ვართ დაკავებული რესურსების შენარჩუნებით, ადამიანების გამხნევებით. ზამთარია და ქუჩის აქციები ჯერ ადრეა. ჩვენ გვაქვს მთელი არსენალი, როგორც ვირტუალური, ასევე პრაქტიკული, რომელიც დაასუსტებს ამ ხელისუფლებას", – განაცხადა მერაბიშვილმა.

ალბათ ნაცებს იმის იმედი აქვთ, რომ სააკაშვილი მთავრობას დაითხოვს და ისინი კვლავ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, მაგრამ, როგორც ხედავთ, თვალსა და ხელს შუა უდნებათ და ხელიდან ეცლებათ ეს იმედი. რაც შეეხება ხალხის მხარდაჭერას, ნამდვილად მეცოდებიან ადამიანის სახედაკარგული **"ნაციონალები"**, რადგან, მაგათ რომ ხალხის საპროტესტოდ გამოყვანა შეუძლიათ, იმდენი ხალხი მარელისელი დეიდაჩემის ოლია ქურდაძის მეზობელ ცხონებულ ჟორჟიკა არევაძეს, მეორადი თოხნის დროს, ნადზე გამოჰყავდა ხოლმე.

რ. ნორაკიძე

ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ: ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲠᲐᲚᲝᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲐ – ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ“ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲡ!

„ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა. იზოლაციაში უნდა მოვაქციოთ, რადგან „ნაციონალი“ და კრიმინალი დღეს სინონიმებია. საქართველოს ახალი ხელისუფლება „ნაციონალების“ ბრიყვულ ბრალდებებზე თავს არ უნდა იმართლებდეს. მათი საქმე არ არის, ივანიშვილი პუტინს მოკითხვას შეუთვლის თუ სხვა ვინმეს შეხვდება...

გარანტიას გაძლევთ, რომ ისინი მალე ჩაირეცხებიან.“

ქართულ-რუსული ურთიერთობების თემაზე სულ მალე ევრაზიის ინსტიტუტი საზოგადოებრივ დისკუსიას იწყებს. სამოქმედო გეგმებისა და მიზნების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ ესაუბრება.

– ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივით იწყება საზოგადოებრივი დისკუსია. მასში მონაწილეობის მისაღებად ვეპატიჟებით ყველა ორგანიზაციას, ყველა დაინტერესებულ პირს, რომელთაც სურვილი აქვთ, წვლილი შეიტანონ ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების პროცესში. მოვიწვევთ ასევე რუს ექსპერტებსა და საზოგადოების რიგით წარმომადგენლებს.

ჩვენი დისკუსიის მიზანია, ჯერ თვითონ საქართველოში, ქვეყნის შიგნით ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მიზნები და ამოცანები, ვინაიდან, *როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, საინტერესოა, როგორ გვესმის ეს მთლიანობა, ურთიერთობის რა მოდელი შეიძლება შევთავაზოთ აფხაზებსა და ოსებს.* ასევე უნდა გავითვალისწინოთ, ჩვენ მიერ ნათქვამი ნებისმიერი ფრაზა, ნებისმიერი ტერმინი როგორ აღიქმება პირობითი საზღვრის მეორე მხარეს აფხაზებისა და ოსების მიერ, მათთვის რამდენად მისაღებია ეს ყველაფერი და ხომ არ ასოცირდება ეს ტერმინოლოგია ნგრევასთან და ომთან. დროა, გავარკვიოთ, რას ველით და რა გვსურს მათგან.

– წლების მანძილზე აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები „გაყინულია“. როგორ აპირებთ დაკარგული კავშირების აღდგენას?

– აუცილებლად ვაპირებთ ურთიერთობის აღდგენას. გასაგებია, რომ ეს საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა ეს ურთიერთობები არ განვითარებულიყო. *როდესაც ამბობ, რომ რუსეთი საერთოდ უნდა გამოირიცხოს ამ ურთიერთობის აღდგენის პროცესიდან, ფაქტობრივად, უარს ამბობ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგზე, ვინაიდან არც ოსები და არც აფხაზები არ გვენდობიან და ჩვენთან პირდაპირი დიალოგი არ სურთ.* თუ ვიტყვით, რომ რუსეთი არ გვინდა, ის ოკუპანტია, ასე არაფერი გამოვა. ეს არის სააკაშვილის მიერ თავსმოხვეული პოზიცია და, თუ ისევ ამ ტერმინებს გამოვიყენებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ სააკაშვილი გვმართავს. ჩვენ რადაც ახალ ფორმულირებამდე უნდა მივიდეთ.

– რატომ გადაწყვიტეთ მაინც და მაინც ახლა ამ მოძრაობის დაწყება?

– ჩვენ ველოდებოდით უწმინდესის ვიზიტს მოსკოვში და მის შედეგებს. ფაქტობრივად, *პატრიარქმა ღიად განაცხადა, რომ ომი პირადად სააკაშვილმა დაიწყო, ვინაიდან ქართველ და რუს ხალხს ეს ომი არ სურდა.* საქართველო და სააკაშვილი უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან. უკვე ღიად ითქვა აგვისტოს ომის მიზეზებზე, ამიტომაც გაღიზიანდნენ „ნაციონალები“. მიმაჩნია, რომ *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კიდევ ერთხელ გაამართლა ქართველი ხალხის იმედები და დაამტკიცა, რომ ის არა მხოლოდ ქვეყნის სულიერი ლიდერი, არამედ ნომერ პირველი დიპლომატია საქართველოში.*

– თუმცა ამის გამო პატრიარქმა „ნაციონალების“ სერიოზული რისხვაც დაიმსახურა...

– ჩვენ, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ომის მიზეზებზე ღიად ვსაუბრობდით, ეს რისხვა, დიდი ხანია, თავს დაგვატყდა, ამიტომ ძალიან კარგია, რომ ეს პატრიარქმა თქვა, რადგან მის სიტყვას სულ სხვა ძალა და მნიშვნელობა აქვს. მართალია, რომ **„ნაციონალური მოძრაობის“** ნარჩენები აყიყინდნენ (თვითონ სააკაშვილის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ). დღეს ისინი უნდა გარიყოს ქართველმა ხალხმა, რათა მათ არ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიმდინარე პროცესებზე იდეოლოგიური გავლენა მოახდინონ. მათ საერთოდ უნდა აეკრძალოთ საქართველოს პოლიტიკაზე გავლენა. **ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲗ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ“ ᲤᲡᲘᲥᲝᲖᲘᲓᲐᲜ,** სწორედ ამ მიზნით ვთავაზობთ საზოგადოებას დისკუსიის დაწყებას.

– როგორი იქნება თქვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებები?

– ჩვენ მოვიწვევთ არა მარტო პოლიტოლოგებსა და ჟურნალისტებს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს. ინტელიგენციის, ეკლესიის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს – ყველას, გარდა **„ნაციონალებისა“**. მათი აზრი არ გვაინტერესებს, რადგან *„ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა. იზოლაციაში უნდა მოვაქციოთ ისინი, რადგან „ნაციონალი“ და კრიმინალი დღეს სინონიმებია. საქართველოს ახალი ხელისუფლება „ნაციონალების“ ბრიყვულ ბრალდებებზე თავს არ უნდა იმართლებდეს. მათი საქმე არ არის, ივანიშვილი პუტინს მოკითხვას შეუთვლის თუ სხვა ვინმეს შეხვდება...*

გარანტიას გაძლევთ, რომ ისინი მალე ჩაირეცხებიან.

– „ნაციონალები“ არ მალავენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ. ფიქრობთ, არ აქვთ დაბრუნების შანსი?

– ხელისუფლებაში დაბრუნების არავითარი შანსი **„ნაციონალურ მოძრაობას“** არ აქვს, ამიტომ მათთვისვე სჯობს, გაჩუმდნენ. თუმცა, რა თქმა უნდა, კვლავ შეეცდებიან, მოახდინონ ახალი ხელისუფლების დანაწევრება, რათა თავად ხელშეუხებლები დარჩნენ და მიტაცებული ქონებაც გადაარჩინონ. *მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებში ახალი ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი ბევრი პირია დარჩენილი და არ არის გამორიცხული, მათზე დაყრდნობით მოინდომონ სიტუაციის არევა. საზოგადოება მზად უნდა იყოს ყველაფრისთვის და არ უნდა მივცეთ მათ საშუალება,* რაიმე გავლენა მოახდინონ ქვეყნის განვითარებაზე. სწორედ ამას, საზოგადოების მობილიზებას ემსახურება ჩვენი გააქტიურება მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

ახალმა ხელისუფლებამ ძალოვან სტრუქტურებს სერიოზულად უნდა მიხედოს. ძალოვანი სტრუქტურები **„ნაციონალური მოძრაობისგან“** უნდა გათავისუფლდეს და მაქსიმალურად პროფესიონალი, მაგრამ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი კადრებით უნდა დაკომპლექტდეს.

– რას ფიქრობთ პრეზიდენტის ინიციატივაზე, ქვეყნის საგარეო კურსი ამიერიდან კონსტიტუციით განისაზღვროს, რისთვის არის აღნიშნული ცვლილება საჭირო?

– ეს არის სააკაშვილის მორიგი სისულელე და სიმხდალე. მას არ სურს რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზება, რასაც ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავუშვებთ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲪᲘᲪᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

თბილისში 4 თებერვალს ჟურნალისტიკის რუსულ-ქართული სკოლა გაიხსნა. ოლეგ-სანდრო პანფილოვმა და ქართული ჟურნალისტიკის სხვა „სინდისებმა“ ამ დღეს თავი გამოიჩინეს და სასტუმრო „ამბასადორის“ წინ მცირერიცხოვანი პიკეტი მოაწყვეს. მათი ღრმა რწმენით, რუს ჟურნალისტებს ქართველებისთვის არაფრის სწავლება არ შეუძლიათ, თუმცა მაშინ რაღას აკეთებს საქართველოში იგივე პანფილოვი, აღარ დაუზუსტებიათ. მის ეთნიკურ წარმომავლობას არ ვეხებით, მაგრამ აწ მაუწყებლობაშეჩერებულ ტელეარხ „პიკის“ დამხმარე ძალად რუსეთიდან ჩამოყვანილი ეს პიროვნება, როგორც იყო, ისევე დარჩა სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მეხოტბედ.

პიკეტი მალევე დაიშალა. მისი მონაწილეები კითხვებს სვამდნენ, მაგრამ პასუხებს აღარ უსმენდნენ. ჟურნალისტურ სკოლაში ქართული მედიის 50-მდე ჟურნალისტი ჩაეწერა და მოპიკეტეების გულისწყრომაც სწორედ ამან გამოიწვია. წლების განმავლობაში განხორციელებული იზოლაციის პოლიტიკამ არ გაამართლა. ახალგაზრდა ჟურნალისტებს აინტერესებთ რუსეთთან კონტაქტი, იქაური ვითარება, პროფესიული გამოცდილების გაზიარება. მოპიკეტეებს არც იმაში გაუმართლათ, რომ მათი 20-კაციანი აქცია მათივე თანამოაზრე **„რუსთავი 2“**-მაც კი მხოლოდ ერთხელ და ისიც შუადღის საინფორმაციო გამოშვებაში გააშუქა.

ერთი კვირის განმავლობაში წამყვანი რუსული მასმედიის – საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“, რადიო „მაიაკის“, ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის“, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალ „ვესტნიკ კავკაზას“ ჟურნალისტები თავიანთი ქართველი კოლეგებისთვის ჩაატარებენ ტრენინგებსა და მასტერკლასებს უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და მულტიმედიური კონტენტის შექმნაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტები, ქართველ ექსპერტებთან ერთად, წაიკითხავენ ლექციებს მასმედიის თანამედროვე ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ, წარმოადგენენ თავიანთ ხედვას სამხრეთ კავკასიის რეგიონის მომავლის შესახებ, მრგვალი მაგიდის ფარგლებში, სახელწოდებით *„სამხრეთ კავკასია 2020: რეგიონის განვითარების პერსპექტიული სცენარები“.*

სკოლაში სწავლების შემაჯამებელ დღეს გამოცხადდება კონკურსის პირობები ესეს შესაქმნელად, რომლის შედეგადაც სამხრეთ კავკასიის, მათ შორის, საქართველოს საუკეთესო ჟურნალისტები 2013 წლის ბოლოს შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ჟურნალისტთა რეგიონულ სკოლაში, ქალაქ სოჭში.

ჟურნალისტიკის რუსულ-ქართული სკოლის მუშაობის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური სერთიფიკატები.

სკოლის ორგანიზატორები არიან რუსეთის პოლიტოლოგიური ცენტრი *„ჩრდილოეთი-სამხრეთი“* და არაკომერციული ორგანიზაცია *„კავკასიური თანამშრომლობა“*. ასეთი სკოლა უკვე გაიმართა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში.

4 თებერვალს სასტუმრო **„ქორთიარდ მარიოტში“** მოხსენების პრეზენტაცია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა გამართა *ნიკოლაი სილაევისა* და *ანდრეი სუშენცოვის* მოხსენების პრეზენტაცია *„საქართველო 2012 წლის არჩევნების შემდეგ და რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივები“.* პრეზენტაციას დაესწრო **საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში *ზურაბ აბაშიძე.*** იგი მიესალმა ქართულ-რუსულ საექსპერტო დიალოგს და იმედი გამოთქვა, რომ **ამგვარი კვლევები და დისკუსიები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.**

მის განხილვაში ქართველი ექსპერტების ფართო სპექტრმა მიიღო მონაწილეობა. *ივლიანე ხაინდრავამ* აღნიშნა, რომ იგი არ აკრიტიკებს სააკაშვილის კურსს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში, რადგან ქვეყნის პირველი **„ვერ შეეგუებოდა მცოცავ ანექსიას“**. პრეტენზიები კი მის მიმართ ამ კურსის განხორციელების უუნარობის მიმართ აქვს. **ექსპერტმა *ლადო პაპავამ*** ისაუბრა რუსული ბიზნესისთვის სააკაშვილის მიერ ფართოდ გაღებულ კარზე და ისურვა, რომ მოხსენების ავტორებს მეტი ინფორმაცია გამოეყენებინათ საქართველოს რეალური ეკონომიკის შესახებ.

ექსპერტმა *სერგი კაპანაძემ* ძირითადად წინა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ მიღწევებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანს ალტერნატივა არ აქვს, რის დასტურადაც NDI-ს კვლევები დაასახელა. ამ განცხადებას დარბაზში ირონიული რეპლიკები მოჰყვა. **ექსპერტმა *ნანა დევდარიანმა*** მიუთითა, რომ არჩევნების წინ ამ ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური პარტიების კვლევებმა მისი ავტორიტეტი საბოლოოდ შეარყია და ნატოში ინტეგრაციის ისეთი მაღალი მაჩვენებელი, როგორიც არის 77 პროცენტი, ეჭვს ბადებს.

მიუხედავად გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა, მთლიანობაში ქართველმა ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს მოხსენება და მისი პრეზენტაცია თბილისში, რაც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებამდე წარმოუდგენელი იყო.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ “ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ”

ნუ კორტნით სამეგრელოს!

ახლა, როცა ქვეყანაში ცვლილებები მიმდინარეობს, როცა მთელი ყურადღება უნდა იყოს დათმობილი ეროვნული ერთიანობისა და კონსოლიდაციისთვის, როცა ძველი ხელისუფლების უხეში და საშიში **„მანქანა“** დაიმსხვრეს და ეს უნდა განხორციელდეს ერთიანი ძალითა და სამართლიანობის დაცვის პათოსით. არიან ცალკეული ადამიანები და ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ დაპირისპირება და ეჭვები დათესონ.

ამაზე მაფიქრებინებს უკანასკნელ ხანს სამეგრელოს მიმართ გამძაფრებული სამი მოვლენა. მათი არასასიამოვნო დამთხვევა.

ჯერ ერთი, სამარცხვინო და კატეგორიულად მიუღებელია, ზუგდიდის **„განათლების ცენტრის კოლხიდას“** ხელმძღვანელის, იური ღვინჯილიას ვიდეომიმართვის პროვოკაციული და ანტისახელმწიფოებრივი შინაარსი, სადაც იგი პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე საუბრობს.

ერის უბედურება არაიშვიათად იყო და დღემდე რჩება, შიდა და გარეშე მოძულეთა ღალატიანი მოქმედება.

როცა საუბარი საზოგადოებისა თუ მხარის ღირსების შეფასებას ეხება, სიფრთხილისა და ზომიერების გამოჩენაა საჭირო. რასაც ვერ იცავს შებრუნებული აზროვნების მქონე ღვინჯილია.

მის იდეებს საეჭვოდ და დროში ემთხვევა ბატონი ვალერი გელბახიანი ინტერვიუს ბოლო ნაწილი. გაზ. **„ქრონიკა“** (21- 27 იანვარი.) სადაც ბატონი გელბახიანი 1-ლ ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, აშკარად წამქეზებლურ დასკვნებს აკეთებს და სამეგრელოს მოსახლეობას უპირისპირებს ახალ ხელისუფლებას: – **„იქ ხალხის სიმპათიები რომ არ ყოფილიყო, ასეთი მონაცემები ვერ დაიდებოდა, თუმცა სააკაშვილს ყოველთვის სამეგრელოში მეტი ხალხი უჭერდა მხარს, ვიდრე სხვა რეგიონში“**-ო.

მესამე მოვლენა გახლავთ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიმართ აგორებული პიარ-ჭორები. რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ სამეგრელოს უკავშირდება.

ვერ დავეთანხმები ბატონ ვალერი გელბახიანს მის დასკვნებსა და ვარაუდებში. ვინაიდან იგი შეიცავს, ძალიან საფრთხის შემცველ მოსაზრებებს, რომელიც ჩირქს სცხებს მხარის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს და აკნინებს ჭეშმარიტ შეხედულებას ყოფილი ხელისუფლებისა და პირადად, სააკაშვილის მიმართ.

იგი ახალ ხელისუფლებასთან აპირისპირებს მხარის მოსახლეობას, ჩააგონებს ივანიშვილსა და **„ქართული ოცნების“** წარმომადგენლებს რომ სამეგრელო მათი ერთგული კი არაა, პირიქითაა... ხედავთ, ყველა მხარეში გიერთგულეს და იმ მეგრელებმა თქვენ მოწინააღმდეგეს მისცა მხარიო!

ამ **„შავი ლაქის ცხებით“** ხაზი გაუსვა, დანარჩენი საქართველო მიხვდა ახალი პერსპექტიული ძალა რომ მოდიოდა, მეგრელები კი მიუხვედრელები არიანო!

გელბახიანის ამ ეკლიანმა მოსაზრებამ ეჭვქვეშ დააყენა რეალობა, რასაც მოყვა ადეკვატური შეფასებები. გაისმა ხმები **„ივანიშვილი სჯის სამეგრელოს და არ იკარებს ხელისუფლებაში მის წარმომადგენლებსო. ირაკლი ალასანიას პარტიაში ნაცმოძრაობის ჩანერგილებია და ამიტომ ვერ მოახერხა ხმების მიღებაო.”**

სინამდვილეში პრემიერ მინისტრს არც კი დასცდენია რაიმე საყვედური მხარის მიმართ, პირიქით, წამყვანი დარგის მინისტრებად დანიშნა (ოდიშარია, ალასანია, ნარმანია) პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე და მოადგილეები სამეგრელოს წარმომადგენლები არიან. ივანიშვილი დღემდე დინჯი, აუჩქარებელი და ემოციებმოთოკილი მოღვაწის თვისებებს ავლენს. თუმცა, როცა ხელისუფლების მაღალი რანგის პიროვნებას უჩიჩინებენ, რომ მხარის მოსახლეობა არ არის ყურადღებისა და დაფასების ღირსიო, ეს არის მხარის მოსახლეობის დამაკნინებელი, შეურაცხმყოფელი, საეჭვო ვარაუდების შემცველი...

საეჭვო იმდენად, რამდენადაც ვ. გელბახიანი მხარის ერთგულებას ახალი ხელისუფლებისადმი, ღალატიანს რაცხს, არასაიმედოსა და საფრთხის შემცველს და ამით წყალს ასხამს სააკაშვილის წისქვილზე. აგულიანებს მას, აქეზებს.

სამწუხაროდ, მისმა აგუნდავებულმა მეორე ცრუ ვერსიის ზვირთმა ავად გადაუარა სამეგრელოს. **„მალე სააკაშვილი ზუგდიდში დაიდებს ბინას და იქიდან დაიწყებსო მოქმედებასო!“** – ბრძანა.

გადარეული ღვინჯილია ბოდავს **„სამეგრელოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა უშველისო“**, ხოლო ვ. გელბახიანი იძახის სააკაშვილი იქ დაივანებს და სამეგრელოდან დაიწყებსო მოქმედებასო!...

მკითხველმა განსაჯოს. არის თუ არა საშიში შინაარსის შემცველია ეს ორი მოვლენა?

ბატონი ვ. გელბახიანი თითქმის ყოველ საგაზეთო ინტერვიუში ხმამაღლა და ამაყად აცხადებს, რომ ჩემი ვარაუდები მართლდებაო. ამით თავი მოაქვს, როგორც გამოცდილ პოლიტიკურ **„წინასწარმეტყველს“**. მისი ნოსტრადამუსობა პოლიტიკაში, სინამდვილეში, ქარში ნაცრის გაბნევას ჰგავს. იშვიათად თუ ყოფილა მისი რაიმე გამონათქვამი, მოსაზრება თუ ვარაუდი გამართლებულიყოს. შეუსაბამო პიარვერსიების მოტრფიალის რამდენიმე მაგალითიდან ორ უკანასკნელად გამოქვეყნებულს შევადარებ ერთმანეთს და მკითხველი თავადვე დარწმუნდება, ბატონ ვ. გელბახიანს როგორ ეხერხება პროგნოზირება.

გასული წლის 19 აგვისტოს გაზეთ **„ქრონიკისთვის“** მიცემულ ინტერვიუში, ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე, ის დაბეჯითებით ამბობდა და მოსახლეობას არწმუნებდა, რომ ხელისუფლებაში დარჩება მერაბიშვილი, საპარლამენტო არჩევნებში კვლავ გაიმარჯვებს **„ნაცმოძრაობა და პარლამენტის თავმჯდომარედ იქნება ბაქრაძე, ხოლო, როცა სააკაშვილი გადადგება პრეზიდენტი ბაქრაძე გახდებაო”.** ჟურნალისტის შეკითხვაზე მისი პასუხია: **„მერაბიშვილს რატომ არ უნდა აწყობდეს ერთი წელი მოითმინოს, დასთმოს თავისი ამბიციები და დაელოდოს ბაქრაძის პრეზიდენტად არჩევასო”.**

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე ეჭვადაც არ მოსდიოდა თავში, რომ **„ნაცმოძრაობა“** დამარცხდებოდა, მერაბიშვილს გააგდებდნენ ხელისუფლებიდან, ბაქრაძე მხოლოდ რიგითი პარლამენტარი გახდებოდა და სააკაშვილი ვადაგასული პრეზიდენტის როლში აღმოჩნდებოდა.

იგი ისევე ყალბად ფიქრობდა, როგორც **„ნაცმოძრაობა“** და სააკაშვილი.

კიდევ ერთი მისეული ვერსია გასულ წელს გამოცემული გაზეთიდან – **„საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილს მისცემენ საერთაშორისო ინსტიტუტებში შესაფერის ადგილს, რომ კვლავ დაიტოვოს იმის უფლება, მობრუნდეს და კენჭი იყაროს”.**

მისი ვარაუდებიდან ხომ არაფერი გამართლდა?!. ახლა ინება სხვა უფრო საშიში შედეგის შემცველი ვერსია მოეგონა და ხმამაღლა აცხადებს: **„სააკაშვილი სხვაგან წამსვლელი არ არის, წავა ზუგდიდში და იქიდან დაიწყებს ახალ პროექტებს, ადგილობრივ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და გახდება საკრებულოს თავმჯდომარე“**-ო.

რა ჰქვია ამ სახიფათო თამაშს? ბავშვური ულოგიკობა, შემთხვევითობა თუ თვალებში ნაცრის შეყრა? რასაც ამბობს და წერს ზერელეა, ღრმა პოლიტიკურ ანალიზს მოკლებული.

ადამიანს აქვს აზრის გამოთქმისა და სხვა ბევრი რამის კეთების უფლება. ეს ცალსახაა. არ მაინტერესებს რას აკეთებდა და მოიმოქმედებს მომავალში ბატონი ვ. გელბახიანი. იგი ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ ძალიან მაფიქრებს ის მასიური თავდასხმების **„კორიანტელი“** რომელსაც მავანნი სამეგრელოსადმი სისტემატიურად ახორციელებენ.

ეს არის გაგრძელება იმ საძრახისი მოქმედებებისა, რომელიც კარგა ხანია მიმდინარეობს სამეგრელოს ღირსების, სვანური და მეგრული ენების დაკნინება-დამცირებისათვის.

ვინც მეგრელთმოძულე, ცრუ მეცნიერ ტარიელ ფუტკარაძისა და ძმათა მათთა გვერდით აღმოჩნდება, მათ მიმართ გულგრილი ვერ დავრჩებით.

შეიძლება ადამიანი გძულდეს და ყველაფერი აკადრო, მაგრამ ხალხს დედის აკვანთან შეზრდილ ენას რომ შეუგინებ, დაუმცირებ და ამას აკეთებ დაჟინებით, გეგმაზომიერად და აკვიატებით, მტრობა ქვია. აქ ვ. გელბახიანსაც ვგულისხმობ და ყველა იმათაც, ვინც ამას კადრულობს ბოღმამორეული სიჯიუტით.

ტერიტორიულად სამეგრელო ხომ კოლხეთის შუაგულშია და მეგრელები უშუალოდ ძველ კოლხთა შთამომავლები არიან. ხომ ათასჯერაა დადასტურებული, რომ კოლხების ენა მეგრული იყო? იგი პროტოქართულია. მეგრულად ლაპარაკობდნენ ლაზები და ჭანები. თავის დროზე საქართველოს ისტორიის მამა ივ. ჯავახიშვილი ბრძანებდა **„საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებითა და ლეგენდებით“**-ო. I ტომი. (გამოც. 1908 წ).

ერთმა მეცნიერმა ქალბატონმა დაუფარავად განაცხადა: **„ჩვენ აკადემიკოსებმა, მრავალჯერ გადავარჩინეთო საქართველოო”.** ისმება კითხვა, ვისგან და რისგან გადაარჩინეთ საქართველო, ქალბატონო და ბატონებო?

გადაარჩინეთ გაყალბების, მოგონილისა და მონაჭორის გზით? ან გადასარჩენი რა სჭირს საქართველოს ერსა და მის ბრწყინვალე ისტორიას, რომლის სათავეს ძველი კოლხების ბრწყინვალება აკაშკაშებს.?

ეს გახლავთ ვითომ პოლიტიკოსების, ვაიმეცნიერებისა და უმეცართა განაჩენი ძირძველი ქართული სახელმწიფოს ხერხემლის – სამეგრელოსადმი.

ერთიან საქართველოს არასდროს გასჩენია საეჭვო და საჩოთირო სამეგრელოსაგან, პირიქით კი ყოფილა. საქართველოს ერთიანობას დასაბამი მისცა ქუჯიმ, ფარნავაზისადმი დახმარებით. ასე იყო და მარადის ასე იქნება. აზროვნებაშებრუნებული **„ღვინჯილიების“** გამოხდომები ამაზე გავლენას ვერ მოახდენენ.

რატომღაც მავანნი წინასწარგანძრახვით არ იკვლევენ, თუ სამეგრელოში რატომ მიიღო **„ქართულმა ოცნებამ“** ოდნავ ნაკლები ხმა, ვიდრე **„ნაცმოძრაობამ“**. თუმცა ყველამ იცის რეალობა. ქალაქ ფოთში ახალმა ხელისუფლებამ მოიგო. პირწმინდად, მოიგო სენაკშიც, თუმცა სამხედრო ნაწილიდან მიღებულმა 3. 000 ხმამ გავლენა იქონია და ცხადია, გადაწონა **“ნაცების“** სასარგებლოდ. ამაში სენაკელებს ვერ დავადანაშაულებთ. ხობში უკვე ტრადიციულად იგებს ერთი, ღირსეული კანდიდატი და ეს გახლავთ ფიფია. ხობელთა კუმირთან პაექრობას ნებისმიერი წააგებს. იგი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, უკვე **„ქართული ოცნების“** მხარესაა. პრობლემა იყო მხოლოდ ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში, რადგან იქ ახალაიების კლანური დაჯგუფება მოქმედებდა. როგორც თავის დროზე ირაკლი ალასანია აცხადებდა, წალენჯიხის ტერიტორიაზე შეიქმნა შეიარაღებული დამსჯელი რაზმი, რომელსაც ხელისუფლება ფარულად აფინანსებდა და რომელიც მოსახლეობაზე ანხორციელებდა მასიური ზეწოლას. სიცოცხლე ტკბილია. როცა შვილის, ქმრის მოკვლითა და სახლის გადაწვით გემუქრებიან, გამკლავება ძნელია.

გუბერნატორმა გოროზიამ, მისმა ძმამ და ამ კლანმა ყველანაირი აკრძალული მეთოდების გამოყენებით მარტვილსა და აბაშაში მცირე უპირატესობა მოაპოვებინა **„ნაცმოძრაობას”.** ასე რომ, სხვა მხარეებთან შედარებით, სამეგრელოში განხორციელებული არნახული მასშტაბების დაშინების, გაყალბების პირობებში მოახერხა **„ნაცმოძრაობამ“** ხმათა შეკოწიწება.

საოცრად მგრძნობიარე სამეგრელოში რომ ივანიშვილის მხარდაჭერები ჰყავდა, ამას ისიც მოწმობს, რომ როცა **„ქართული ოცნების “** ლიდერი მოსახლეობასთან შეხვედრაზე ჩამობრძანდა, მას არნახული დახვედრა მოუწყვეს ზუგდიდში. თავადაც ივანიშვილი განცვიფრებული და აღფრთოვანებული იყო ამგვარი დახვედრით.

ამან კიდევ უფრო გაახელა ძველი ხელისუფლება და მოხდა ის რაც მოხდა.

ეს არ აძლევს არავის უფლებას საზეიმოდ განაცხადოს: იქ ხალხის სიმპათიები რომ არ ყოფილიყო, ასეთი მონაცემები ვერ დაიდებოდაო. მინდა ვკითხო ამ ციტატის ავტორს. თქვენ თუ არ გინახავთ, ხომ გსმენიათ, საარჩევნო ბატალიებისას რა და როგორი სიბინძურე ხდება? როგორ ახერხებენ ხმების წართმევას, მიწერას, მოგროვებას?!

პირველი შემთხვევაა? არსად არ მომხდარა ისეთი რამ, როგორადაც მოექცნენ სამეგრელოს მოსახლეობას. განა ამის გამო შეიძლება მმართველი პარტია წააქეზო, გამარჯვებულ ძალას უყიჟინო – ის კი არ არის ტრაგედია ხმების მაქსიმუმი რომ ვერ მიიღეთ, არამედ სააკაშვილი საბუდარს იქ მოიწყობსო.

რატომ არ ახსენებენ მეორე კუთხეს, სადაც ასევე მოახერხა ყოფილმა ხელისუფლებამ ხმების შეკოწიწება? რატომ დაადებინეს მხოლოდ სამეგრელოს კისერი გილიოტინაზე? რატომ გაიმეტეს სამეგრელო ახალი ხელისუფლების **„სახრჩობელასთვის“**?

მოსახლეობის ასაფორიაქებლად ატეხილი ეს ცრუ განგაში, სააკაშვილის მომავალ **„პერსპექტივებზე“** და მისი დაკავშირება მაინცა და მაინც სამეგრელოსთან, რბილად, რომ ვთქვათ, წინასწარ გამიზნული შანტაჟია, რასაც მოჰყვა კიდეც ადეკვატური რეაქცია. ზუგდიდის ცენტრში გამოასვენეს სააკაშვილის კუბო და ცოცხლად დაიტირეს. მე ვემიჯნები ამგვარ თეატრალიზებულ ტრაგიკომედიების დადგმას. კოლხებს უხსოვარი დროიდან დაჰყვათ მაღალი ეთიკისა და სხვათა პატივისცემის დახვეწილი კულტურა. მტერს მტრულად ხვდებიან და მოყვარეს მოყვრულად, ეს მათი განძია, მათი ცხოვრების წესია.

დღეს ზუგდიდში პრეზიდენტის სასახლესთან მიმდინარეობს აქცია, გახსნილია კარვები, რაც აშკარად ამხელს სამეგრელოს დამოკიდებულებას ყოფილი ხელისუფლებისადმი.

ექვს თებერვალს პრემიერ-მინისტრისა და ალასანიას შეხვედრა ნათელს ხდის (ივანიშვილი სტუმრობდა თავდაცვის სამინისტროს), თუ როგორი ურთიერთობა სუფევს კოალიციაში. ამიტომ ყოველგვარი ხელოვნურად შექმნილი ვარაუდები იმის თაობაზე, რომ სამეგრელო და მისი წარმომადგენლები ისჯებიან, მტკნარი სიცრუეა.

ნუ კორტნით სამეგრელოს!

თითიდან გამოწოვილი ვერსია-ვარაუდებით ნუ ამღვრევთ წყალს, რომელიც მთის ნაკადულივით ანკარაა.

გაზეთ **„საქართველოსა და მსოფლიოში”** (29.01. 2013) მე ვწერდი, რომ **„ჯერ ერთი ვადაგასული სააკაშვილი, ზვიად გამსახურდია არ არის, მისებრ გულნათელი, მორწმუნე, წმინდა, უცოდველი, ალალი და სამართლიანი ერის შვილი, რომ სამეგრელომ სისხლის ფასად დაიცვას და გვერდით დაუდგეს. უკვე ცხადია, ყავლგასული ხელისუფლების ძალადობაზე დაყრდნობილი ოლიგარქიული პლაცდარმი თვითმფრინავის ბოლივით დაიშალა”.**

ასევე განვაცხადე, რომ – **„არა მგონია სამართალში მიცემულმა ახალმა გუბერნატორმა თენგიზ გუნავამ შესძლოს რაიმეს წაღმა შემობრუნება. როგორც სააკაშვილმა მისი წარდგენის დროს განაცხადა „წარმატებული დივერსიული და ერთგული მეთაურობისთვის დავაწინაურეო“. კარგად ვიცით მისი დივერსიული მოქმედებები და ჩადენილი დანაშაულობები რა მასშტაბისა იყო სამეგრელოში. გუნავამ ჯერ მოსახლეობის წინაშე უნდა მოინანიოს და, ისიც საკითხავია, მოსახლეობა ამ მონანიებას მიიღებს თუ არა. ის ისეთივე ხელმოცარული გუბერნატორად დარჩება, როგორც მისი მფარველია და „მამა-მარჩენალი“ უუფლებო პრეზიდენტია.“**

„ნაცმოძრაობის“ იდეოლოგები მთელი ძალით უყიჟინებენ მოსახლეობას, რომ ჯერაც ყველაფერი დაკარგული არ არის. მაგრამ ეს არის მხოლოდ იმის უმწეო მცდელობა, რომ სააკაშვილმა, ოქტომბრამდე, როგორმე შეინარჩუნოს აქტიური პოლიტიკოსის იმიჯი.

ბორის ღავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა
აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲙᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ „ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ“ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ

საქართველოს პრეზიდენტმა პოლიციის კაპიტანი კარინა გრიგორიანი (ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის II სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ყოფილი უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი) ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის **„ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ“** დააჯილდოვა.

კარინა გრიგორიანმა სამინისტრო პირადი გადაწყვეტილებით დატოვა, რის მიზეზადაც ბოლოდროინდელი მასშტაბური ამნისტია დაასახელა. როგორც პოლიციის კაპიტანმა აღნიშნა, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ამნისტიის ფარგლებში რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით მსჯავრდებულთა შეწყალება და სასაჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლება.

პრეზიდენტის განცხადებით, ამნისტიის შედეგად პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული არცერთი ადამიანი არ ყოფილა პოლიტპატიმარი. ის მადლობას უხდის იმ ადამიანებს, რომლებიც დღემდე მუშაობენ პოლიციაში და საქართველოს ინტერესებს ემსახურებიან.

„მინდა კარინასნაირ ადამიანებს დიდი მადლობა ვუთხრა. დარწმუნებული ვარ, დადგება ის დრო, როდესაც ის დაბრუნდება შინაგან საქმეთა სამინისტროში და ამ სტრუქტურაში გააგრძელებს ბრძოლას ჯაშუშებთან და კრიმინალთან. მინდა, შსს-ის უკვე ყოფილ ოფიცერს გადავცე ის, რაც მას შეეფერება – „დირსების ორდენი“. მას უკვე აქვს „ვახტანგ გორგასლის ორდენი“, რომელიც სწორედ უცხოურ სპეცსამსახურებთან ბრძოლისთვის მიიღო. ვფიქრობ ყველაფერი წინ არის. მინდა, კიდევ გადავუხადო მას მადლობა ამ გაბედული ნაბიჯისთვის“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ვერა და ვერ დააღწია თავის სააკაშვილმა ამოუწურავ ბავშვურ ფანტაზიას, როცა თანატოლებთან **“ომობანას”** თამაშში ჩაბმულ მოზარდს ხან ალექსანდრე მაკედონელი ჰგონია თავი და ხან ნაპოლეონი და ეს განცდა მას მიჰყვება თამაშის შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში. აღარ არის ეს კაცი საქართველოს პრეზიდენტი 2013 წლის 20 იანვრიდან, მაგრამ მაინც ვერ განთავისუფლდა ქვეყნის **“ბატონ-პატრონობის”** ხიბლიდან და ძველებური შემართებით აგრძელებს ადამიანების დაჯილდოებას სხვადასხვა რეგალიებით, რომელსაც, შეიძლება ითქვას, კაპიკის ფასი ადევს. მაგალითად, ამას წინათ სააკაშვილმა **“ბრწყინვალების ორდენი”** გადასცა კინორეჟისორ ელდარ შენგელაიას, ოღონდ არ დაუზუსტებია – ეს ჯილდო ელდარს გადასცა როგორც კინორეჟისორს, თუ როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს. ეს პიროვნება რომ ნიჭიერი რეჟისორია, ამაზე არავინ დაობას, მაგრამ საკმაოდ უნიჭო და არაკეთილსინდისიერი, გამყიდველი პოლიტიკოსი რომ გახლდათ, არც ეს არის სადავო. ამის დასტური გახლავთ ის ამბავიც, რომ მაშინ, როცა სააკაშვილს უკან დაუბრუნა ჯილდო მრავალმა ღირსეულმა მამულიშვილმა-შემოქმედმა, შემგელაიამ ლამის სიამაყის განცდით მიიღო ორდენი თვითმარქვია პრეზიდენტისაგან, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სამარცხვინო მოვლენაა და ქარს ატანს იმ ავტორიტეტს, რომელიც ამ მართლაც ნიჭიერმა რეჟისორმა წლების განმავლობაში მოიხვეჭა.

რაც შეეხება გრიგორიანებს და მისნაირებს, რომლებიც ყოველთვის მეხუთე კოლონას წარმოადგენდნენ ქართულ სინამდვილეში, სააკაშვილმა ჩვენზე კარგად იცის, თუ რა დამსახურებებისათვის უნდა დააჯილდოვოს კარინა და მისი თავამომამულეები. ახლა, როცა საქართველოში ჭეშმარიტი ქართული საქმის კეთება იწყება, კარინა და კარინასნაირები, რა თქმა უნდა, მონაწილეობას არ მიიღებენ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობით პროცესებში და განზე გადგებიან!

ხოლო, რა სიბოროტეც აკეთეს საქართველოს წინააღმდეგ, ამისათვის მათ **„ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ“** კი არა, სხვა ქვეყნის უფრო მაღალი რეგალიით დასჯირდებათ დაჯილდოება.

ამიტომაც ჩქარობს სააკაშვილი და ცდილობს რაც შეიძლება მალე დაუფასოს **“ᲦᲕᲐᲬᲚᲘ”** იმ ადამიანებს, ვინც მას **“ᲒᲐᲓᲘᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲐᲡᲐ”** და საქართველოს განადგურებაში ეხმარებოდნენ. ახლა ქართველმა ხალხმა მხოლოდ ის უნდა მოიფიქროსა, თუ რომელი რეგალიით დაუმშვენებს მკერდს ამ არაკაცს, რომლის მმართველობა უკვე შავი ასოებითაა ჩაწერილი საქართველოს პოლიტიკურ მატიანეში. ჩვენის აზრით, ყველაზე უპრიანი იქნება სააკაშვილს ანტიდამსახურებისათვის მიენიჭოს **“ᲪᲝᲪᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲙᲔᲢᲘᲡ ᲑᲐᲤᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ”**!

ღირსი არ არის, თუ რა?

რ. ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲓᲐ)ᲘᲭᲔᲠᲔᲜ ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ?! (ᲐᲜᲣ, ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲛ ᲘᲒᲣᲚᲐᲕᲐ)

ფაქტი ერთია – თბილისში დესტაბილიზაციის პროცესი დაიწყო და ბევრი ფიქრობს, რომ ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ გიგი უგულავა თავის პოსტზეა. მას შემდეგ, რაც იგი დაკითხვაზე დაიბარეს, უკვე ეჭვის ქვეშ დადგა ის საკითხიც, მიაღწევს თუ არა იგი თვითმართველობის არჩევნებამდე. 750 **“ᲚᲔᲕᲘ”** თანამშრომლისა და **“ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲔᲢᲘᲡ”** ოთხი ალპინისტ-დამსუფთავებლის შემდეგ, რა თქმა უნდა სხვა ბევრი ასეთი ოდიოზური ფაქტი გამოვა სამზეოზე. მაგრამ ის, რის გამოც უგულავა შესაძლოა დააკავონ, ბევრად სერიოზულ სეგმენტს განეკუთვნება. ეს გახლავთ მერიის მიერ ჩატარებული ტენდერები და საბიუჯეტო თანხების ხარჯვითი ნაწილი. ამ ეტაპზე შეისწავლება (ფაქტობრივად დასრულებულია) ფინანსური გენინსპექციის მიერ 2011 წელს თბილისში სამარშრუტო ტაქსების შემოყვანისა და ახალი მანქანებით ხაზების დაკომპლექტების პროცესი.

2011 წლის დასაწყისში თბილისის მერიამ ჩაატარა ტენდერი ყვითელი მიკროავტობუსებით დედაქალაქში მგზავრთა გადაყვანაზე. ტენდერში გაიმარჯვა ოთხმა კომპანიამ – შპს **“ფაბლიქ ქარმა”,** რომელსაც ისანი-სამგორის ხაზის უზრუნველყოფა დაევალა, შპს **“თბილ ლაინმა”** ვაკე-საბურთალოს და გლდანი ნაძალადევის რაიონებში, შპს **“კაპიტალ გრუპმა”** ძველი თბილისისა და დიდგორის რაიონში და შპს **“თბილ ქარმა”** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. ოთხივე კომპანია გამარჯვებიდან ერთ კვირაში თბილისის მერმა დაუქვემდებარა ერთ კომპანიას – შპს **“თბილისის მიკროავტობუსებს”,** რომელსაც უნდა განეხორციელებინა ოთხივე ამ კომპანიაზე ზედამხედველობა და კონტროლი. ამიერიდან, ტენდერში გამარჯვებული ეს ოთხი კომპანიაა **“ქრება”** და ყვითელი მიკროავტობუსების მართვის სადავეები ისე გადადის შპს **“თბილისის მიკროავტობუსის”** ხელში, რომ კაცი შვილს არ უკითხავს, კი მაგრამ ეს **“თბილისის მიკროავტობუსები”** ვისი ტიკი-ტომარაოო? არც ტენდერში მიუღია მონაწილეობა, არც ტენდერამდე განუსაზღვრავს მისი მაკონტროლებლის ფუნქციები ვინმეს და ახლა ვინ შემოიყვანა თამაშშიო? ვინ და პატივცემულმა თბილისის მერმა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ, პროკურატურის მასალებიდან.

სანამ ეს ოთხი კომპანია თავის დაფნის გვირგინებს ერთ კომპანიას გადასცემდა, მანამდე მათ ყვითელი მიკროავტობუსები შეუკვეთეს შპს **“ჯი-თი მოტორსს”**. ეს გახლავთ **“ფორდის”** ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში, რომელმაც ვითომდა 2011-2012 წლის მოდელები მიჰყიდა მათ აღჭურვილი 2,4 ტურბირებული დიზელის ძრავებითა და მექანიკური გადაცემათა კოლოფებით. მიკროავტობუსები თურქეთში გახლდათ დამზადებულია ქალაქ კოჩაელში.

ამის შემდეგ დაიწყო მძღოლებთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესი. ყველაზე მეტი მაშინ იყვირა **“რესპუბლიკელმა”** თინათინ ხიდაშელმა, რომელმაც თბილისის მერს სამარშრუტო ტაქსების მძღოლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების გადახედვას და გაუქმება მოსთხოვა. მისი თქმით, **“თბილისის მიკროავტობუსი”**-ს მძღოლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მძიმე და კაბალურია. კერძოდ, ხელშეკრულების პირობებით მძღოლებს ათი წლის განმავლობაში უნდა გამოესყიდათ (შეეძლოთ კი არა, უნდა გამოესყიდათ) სამარშრუტო ტაქსები 50 ათასი ევროდ, მაშინ როდესაც ამ მიკროავტობუსების ღირებულება 18 ათას ევროს შეადგენდა. (დღეს-დღეობით, ფინანსური სამსახურის გენერალური ინსპექციის მასალებში მოიპოვება დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც შესწავლას საჭიროებს ეს 18 ათას ევროს ღირებულების პრესიკურანტი, რაც სავარაუდოდ ასევე გადამოწმდება).

მძღოლებს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კომპანიის ანგარიშზე უნდა შეეტანათ საგარანტიო თანხა 500 ევრო, შემდეგ კი კომპანიისაგან იჯარით აიღებდნენ მანქანებს და თვეში 463 ევროს გადაიხდიდნენ. ავტომანქანასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი მძღოლებს საკუთარი ხარჯებით უნდა დაეფარათ.

როგორც ამბობენ, სწორედ აქედან იღებს გიგი უგულავას მიერ ნახსენები **“ᲩᲣᲙᲔᲜᲝᲑᲐ”** სათავეს, რომელიც მას სასულიერო ტერმინოლოგიიდან სულაც არ წამოუღია. როგორც კი მძღოლებს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა აიძულეს, გიგი უგულავამ დიდი შლანგი მოიმარჯვა და კამერების წინ ერთი **“ᲤᲝᲠᲓ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲘ”** თავიდან ბოლომდე გარეცხა, ზედ თავისი შარვალ-კოსტიუმი მიაყოლა და როდესაც შლანგს **“ᲛᲝᲘᲙᲘᲡ”** ერთ-ერთ თანამშრომელს გადასცემდა, დაცვას ჩაულაპარაკა – **“ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲠᲩᲘ ᲩᲣᲙᲔᲜᲝᲑᲐᲡᲝ?”**.

მეორე დღესვე, თბილისში ახალი **“ᲤᲝᲠᲓᲘᲡ”** მარკის 36 მანქანა გამოჩნდა და იმავე დღეს 22 მანქანა მწყობრიდან გამოვიდა. რამდენიმეს გაეთიშა ტაბლო, ხოლო მძღოლებმა კვირის ბოლოს სპეციალური ნუსხა შეადგინეს, რომლის მიხედვითაც საწვავის ხარჯი ბევრად მეტი გამოსდიოდათ ვიდრე გერმანული წარმოების სპრინტერებსა და ფორდების შემთხვევაში იქნებოდა. იქ ასეთი სიტყვაც იყო ნახსენები – **“ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲗᲘ”.** მწყობრიდან გამოსული ყვითელი სამარშრუტო ტაქსების შესახებ საზოგადოებას ამცნო ტრანსპორტის პროფკავშირების თავმჯდომარემ ლავრენტი ალანიამ. ასე და ამრიგად, 2011 წელსვე დასრულდა თბილისში ახალი მანქანებით ხაზების დაკომპლექტების პროცესი. სულ 2 464 ყვითელი ფერის სამარშრუტო ტაქსი იქნა შემოყვანილი, ხოლო 4 500 მძღოლს გაუფორმდა ხელშეკრულება. დღეს ამ ხელშეკრულებებს ფინანსურთან ერთად პროკურატურა სწავლობს.

2012 წლის დასაწყისისთვის სიტუაცია ასეთია – მძღოლებს ყოველ დღე იჯარის სახით 63 ლარის შეტანა ევალებოდათ. 25 ლარი სამარშრუტო ტაქსის ცვეთისთვის უნდა გადაედოთ, ამას დამატებული საწვავის თანხა – 100 ლარი საკუთარი ჯიბიდან. **“თბილისის მიკროავტობუსების”** განკარგულებით მძღოლებს ყოველი 10 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ (სჭირდებოდათ თუ არა) სამუხრუჭე ხუნდები და ზეთი უნდა გამოეცვალათ **“ფორდის ცენტრში”,** სადაც მარტო სამუხრუჭე ხუნდების გამოცვლაში 205 ლარს იხდიდნენ. ცნობისთვის, აღნიშნული სახის მომსახურება სხვა სერვის-ცენტრებში 40-დან 60 ლარამდე მერყეობს დღესაც. მაგრამ, კონტრაქტში მითითებული პირობის თანახმად რამდენიმე წლის განმავლობაში მათ სხვაგან წასვლა ეკრძალებოდათ. გარდა ამისა, როგორც საფინანსოს მასალებიდან ჩანს, **“მუხრუჭები”** 10 ათასი კილომეტრის გავლამდე არ უნდა ცვდებოდეს, მაგრამ **“ფორდის ცენტრში”** მძღოლებს ყოველი 5000 კილომეტრის გავლის შემდეგ უწევდათ მისვლა, ვინაიდან სწორედ **“ფორდის ცენტრის”** მიერ შემოყვანილი, ე.წ. **“ახალ”** მიკროავტუბუსებში მუხრუჭები ორჯერ მალე ცვდებოდა. **“თბილისის მიკროავტობუსების”** ხელმძღვანელობა ურჩ და პროტესტის გამომხატველ მძღოლებს სამსახურიდან პირდაპირ ხსნიდა.

2013 წლის იანვარში მძღოლების საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. მძღოლების საინიციატივო ჯგუფის მხრიდან წამოყენებული იქნა ოთხი მოთხოვნა:

- მძღოლის ინდმეწარმის სტატუსის გაუქმება, რაზეც **“თბილისის” მიკროავტობუსმა”** განუცხადა, თუ საინიციატივო ჯგუფი შეაგროვებს მოიჯარე მძღოლების ხელმოწერებს ამ საკითხზე კონსულტაციებს დავიწყებთო. ანუ უარი!
- გეგმების (საგზურის გადასახადის) შემცირება, რაც ავტომატურად გამოიწვევდა ტარიფის 80 თეთრიდან 50 თეთრამდე ჩამოსვლას, რაზედაც **“თბილისის მიკროავტობუსმა”** პირდაპირ უთხრა **“არაო”!**
- მიკროავტობუსების ტექნიკური მომსახურება არა **“ფორდის ცენტრში”,** არამედ მძღოლებისათვის სასურველ ადგილას. ამაზე შპს **“თბილისის მიკროავტობუსმა”** შპს **“ჯითი მოტორსის”** (**“ფორდის”** ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში) უსაფრთხოების გარანტად დაასახელა და თბილისელი მგზავრების სიცოცხლეს სხვას ვერავის ვანდობთო.
- გათავისუფლებული მძღოლების სამარშრუტო ხაზებზე აღდგენა, რაზეც “თბილისის მიკროავტობუსებისგან” მიღებულ იქნა პასუხი, რომ გათავისუფლებული მძღოლების სამარშრუტო ხაზებზე უპირობოდ დაბრუნებას კომპანია არ განიხილავს. **“ეს საკითხი შესაძლებელია მხოლოდ გადაწყდეს ინდივიდუალურად, თითოეული მოიჯარე მძღოლის დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე”.** ცნობისთვის, მოიჯარე მძღოლის დარღვევის ხარისხი ნიშნავდა **“დაუმორჩილებლობის”** ხარისხს.

ასე და ამრიგად, ვერც ერთ პუნქტში შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მძღოლებმა გაფიცვა გააგრძელეს, ხოლო შემოსავლების სამსახურმა დაიწყო იმ კომპანიებისა და კონტრაქტორი ფირმების შემოწმება, რომლებიც მძღოლთა საინიციატივო ჯგუფის სარჩელში იყვნენ მითითებული, როგორც მერიასთან გარიგებაში მყოფი კომპანიები. აი, აქედან ვითარდება მოვლენები ძალიან საინტერესოდ. როგორც კი, აღნიშნული საკითხებით მაკონტროლებელი ორგანოები დაინტერესდნენ, მძღოლებსა და კომპანიას შორის მოლაპარაკებაში ჩაერთო თბილისის მერია და მძღოლებს ინდ. მეწარმის სტატუსის გაუქმებას შეპირდა ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადით არაუმეტეს 10 ლარისა. მაგრამ, უგულავამ დაიგვიანა – 2011 წელს ჩატარებული სატენდერო კონკურსის გადახედვა უკვე დაწყებული იყო და შესაბამისი დოკუმენტაციაც გამოთხოვილი. 1 თებერვალს პროკურატურაში გიგი უგულავა დაიბარეს, რომელზეც იგი არ გამოცხადდა. როგორც ცნობილი გახდა, მასთან აქვთ შემდეგი სახის კითხვები:

1. ვინ არის **“თბილისის მიკროავტობუსის”** 100%-იანი წილის მფლობელი დავით ასანიძე?
2. სად გაიცნო უგულავამ იგი?
3. როგორ მოხდა, რომ **“თბილისის მიკროავტობუსის”** 100%-იანი წილის მფლობელს დავით ასანიძეს 2011 წლამდე ფაქტობრივად არაფერი არ გააჩნდა 2002 წელს ჩამოყალიბებული ინდ. მეწარმის გარდა, რომლის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ არაფერი არ არის ცნობილი?
4. როგორ მოხდა მერიის ტენდერში გამარჯვებული ოთხი კომპანიის ერთ კომპანიად ჩამოყალიბება?
5. ვინ გადააჯგუფა გამარჯვებული კომპანიები?
6. რატომ ჰქონდათ ტენდერში გამარჯვებულ ოთხივე კომპანიას ტენდერამდე 100-100-ლარიანი საწესდებო კაპიტალი, ხოლო სამი თვის შემდეგ 3 მილიონი ლარის საგარანტიო თანხა წარმოადგინეს?
7. როგორ მოხდა, რომ **“თბილისის მიკროავტობუსმა”** 18 თვის განმავლობაში ბიუჯეტში 20 000 000 ლარი შეიტანა?

საერთო ჯამში, მხოლოდ **“თბილისის მიკროავტობუსის”** საშუალებით 7 890 000 ლარის უმისამართო **“გადაქაჩვაა”** დაფიქსირებული, სავარუდოდ უგულავას ჯიბეში.

ერთი პატარა დეტალიც: მძღოლთა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის. მათ დროებით განაახლეს მუშაობა მხოლოდ იმიტომ რომ უგულავას დაკითხვის, სავარაუდოდ მისი შემდგომი დაკავების პროცესს ხელი არ შეუშალონ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

კახა კაჭარავა: ყველა მატჩი ფინალის ტოლფასი იქნება

"ზესტაფონი" მალე ანთალიაში გაემგზავრება შეკრებაზე, მანამდე კი საქართველოს მოქმედი ჩემპიონი სეზონის მეორე ნახევრისთვის საკუთარ ბაზაზე ემზადება.

დღეს უკვე ნათელია, რომ ფეროელებს ტიტულის შენარჩუნების ნაკლები შანსი აქვთ და უფრო რეალური ამოცანა ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა.

საინტერესოა, როგორ გაართმევს თავს გუნდი ამ ამოცანას, სეზონის განახლებამდე კი ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი და ოფიციალურ მატჩებამდე **"ზესტაფონს"** არაერთი საკონტროლო შეხვედრა ელის.

თავის ინტერვიუში გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა მისი გუნდის ბანაკში ბოლო დროს მომხდარ ამბებს განიხილავს და ჩვენს მკითხველს სამომავლო გეგმებსაც აცნობს.

– შეგიძლიათ თქვათ, რომ "ზესტაფონში" ადაპტაცია უკვე გაიარეთ?

– თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალ გარემოსთან შეგუება არ გამიჭირდებოდა. საქართველო პატარა ქვეყანაა და პატარაა ჩვენი საფეხბურთო წრეც. აქ ყველა ყველას იცნობს და მწვრთნელისთვის თუ ფეხბურთელისთვის სამუშაო ადგილის შეცვლა პრობლემა არ უნდა იყოს.

ჩემთვის საქართველოს ყველა კუთხე ძვირფასია და ნებისმიერ ქალაქში სიამოვნებით ვიმუშავებ, თუ კლუბში სამუშაო გარემო დამხვდა. **"ზესტაფონში"** კი თავიდანვე ვიცოდი, რომ სწორედ ისეთი ვითარება იქნებოდა, როგორიც მისი ამბიციების კლუბს შეეფერება.

– უკვე გამოიკვეთა ის ბირთვი, რომელსაც სეზონის მეორე ნახევარში დაეყრდნობით?

– ანთალიაში 25 ფეხბურთელს წავიყვან და სწორედ მათი იმედი მექნება ჩემპიონატისა და თასის საგაზაფხულო ეტაპებზე. თუმცა თურქეთში კიდევ რამდენიმე ლეგიონერს გავსინჯავთ და თუ რომელიმე მათგანი მოგვეწონა, სიამოვნებით გავუფორმებთ კონტრაქტს.

– ლეგიონერები თქვენს გაწვრთნილ გუნდებში ყოველთვის საკმაო რაოდენობით იყვნენ...

– ჩემი დიდი სურვილია, **"ზესტაფონის"** ბირთვი ახალგაზრდა ქართველებისგან შედგებოდეს, მაგრამ თუკი მაღალი დონის ლეგიონერებს ვიპოვით, მათზე უარის თქმას არ ვაპირებთ. ახალი სისხლი გუნდში ყოველთვის საჭიროა და მუდამ ძიების პროცესში უნდა იყო.

ლეგიონერების გონივრული რაოდენობა ნებისმიერ გუნდს წაადგება. ამბობენ, რომ ლეგიონერი ადგილობრივს ათი თავით უნდა სჯობდეს. ასეთი უცხოელების საქართველოში მოზიდვა გაგვიჭირდება, ჩემთვის ისიც საკმარისია, ლეგიონერი ქართველს ერთი თავით თუ აღემატება. უცხოელებშიც ახალგაზრდებს ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ უარს არც გამოცდილ ფეხბურთელზე ვიტყვი.

– "ზესტაფონში" სინჯებზე მყოფ ლეგიონერებზე რას იტყვით?

– ბრაზილიელ ნახევარმცველ ვიტორ როსინი და კუნიას უკვე დავემშვიდობეთ, ხოლო სერბ, ალჟირელ და კამერუნელ ფეხბურთელებზე დაკვირვებას განვაგრძობთ. ჩვენთან დარჩენის შანსი ყველა მათგანს აქვს, გააჩნია, როგორ წარმოაჩენენ თავს უახლოეს დღეებში.

– სერბ იგორ იელიჩს კი "ზესტაფონმა" კონტრაქტი გაუხანგრძლივა.

– იგორმა ეს თავისი ნაყოფიერი თამაშით დაიმსახურა. მას ჩვენს გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

– სხვა ახალწვეულებზე რას გეტყვით?

– ვფიქრობ, რომ ლევან კუტალია **"ზესტაფონის"** შუა ხაზს გააძლიერებს. ასევე დიდ იმედებს ვამყარებთ **"ზუგდიდიდან"** გადმოყვანილ მეორე მოთამაშეზე, ახალგაზრდა ნახევარმცველ ავთო ენდელაძეზე, რომელიც გულშემატკივრებს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიდან უნდა ახსოვდეთ.

– ყველაზე მეტად რომელ რგოლებში გჭირდებათ გაძლიერება?

– არ გვაწყენდა კვალიფიციური ცენტრალური და მარცხენა მცველების დამატება. იმედი მაქვს, ამ პრობლემას თურქულ შეკრებაზე მოვაგვარებთ.

– საბა ლომია, რომელიც "ზესტაფონში" რამდენიმე დღის განმავლობაში ვარჯიშობდა, კვლავ მარტვილის "მერანში" დაბრუნდა...

– საბა რომ პერსპექტიული და კვალიფიციური თავდამსხმელია, ეს **"მერანში"** გატანილი 13 გოლითაც დაამტკიცა. მოვალში მისი დიდი იმედი გვაქვს, ამ ეტაპზე კი მივიჩნიეთ, რომ უმჯობესია, **"მერანში"** იჯარა გაახანგრძლივოს. იქ მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ექნება და **"ზესტაფონში"** სათამაშოდ ბოლომდე მომწიფდება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბოლნისის **"სიონში"** გავანათხოვრეთ ზაალ ელიავა.

– ტრავმის გამო თურქულ შეკრებას ვინმე ხომ არ დააკლდება?

– გვყავს რამდენიმე დაშავებული ფეხბურთელი, მაგრამ ყველა მათგანი გამოჯანმრთელების გზაზეა და არა მგონია, რომელიმემ ანთალიაში წამოსვლა ვერ შეძლოს.

– ანთალიაში საკონტროლო მატჩებს ვისთან გამართავთ?

– შევხვდებით აზერბაიჯანულ **"ყარაბახს"**, ასევე პოლონურ და უკრაინულ კლუბებს. მეტოქეთა ვინაობა მალე დაზუსტდება, ახლა მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ თურქეთში ხუთ ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ.

– ევროპის ლიგაზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?

– ძალიან რთული იქნება, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ათიოდე ტურია გასამართი და თითოეული მათგანი ჩვენთვის ფინალის ტოლფასი იქნება. არანაკლები მოტივაციით ვიბრძოლებთ საქართველოს თასის მოსაპოვებლადაც.

წლის პირველი ოფიციალური მატჩი კი 22 თებერვალს სუპერთასზე გვაქვს და შევეცდებით, ჩვენი ქომაგები ამ ტიტულის მოპოვებითაც გავახაროთ.

საკ. ინფ.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი

ილია მეორე – სამი რამ რყვნის ადამიანს: თანამდებობა, სიმდიდრე და სილამაზე

ხშირია, როდესაც ადამიანს თავისი ერი ავიწყდება და მხოლოდ საკუთარ სკამსა და თანამდებობაზე ფიქრობს, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ამასწინანდელი საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, უფალი ყველაფერს ხედავს და ადამიანებმა სიკეთის კეთება უნდა იჩქარონ. **"უნდა ვაკეთოთ სიკეთე და ისეთი საქმე, რომელიც საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ერისთვის. ხშირია, როდესაც ადამიანს ერი ავიწყდება, ფიქრობს მხოლოდ საკუთარ სკამზე და თანამდებობაზე და საკუთარ კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებს და ანაცვალებს მას ერის კეთილდღეობას. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიყოთ დაკვირვებული. არსებობს ფართო და ვიწრო გზა, ვისაც უნდა იაროს ფართო გზით, ის ვერ მივა სასუფეველში"**, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა უფალს შესთხოვა, მიანიჭოს ერს **"განცდა ცოდვათა თვისთა და გული გონიერი"**, რათა შეძლოს გარჩევა, სად არის კეთილი და სად ბოროტი.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანი ბედნიერია, თუმცა ამ ბედნიერებას ვერ ხედავს. **"ხშირად ადამიანს გააჩნია მძიმე ჯვარი და ღვთის წყალობით ადვილად ატარებს თავის ჯვარს. მეცნიერები ამბობენ, რომ სამი რამ აფუჭებს და რყვნის ადამიანს: დიდება, ანუ დიდი თანამდებობა, სიმდიდრე და სილამაზე. ჯავახეთშია ამბობს, რომ თამარ მეფეს სამივე ჰქონდა და ის გახდა წმინდანი. ეს წუთისოფელი ცდილობს დაიჭიროს ადამიანი ფულით, თანამდებობით და სხვა საშუალებებით, მაგრამ ადამიანი უნდა ხედავდეს, სად არის კეთილი და სად ბოროტი, სად არის საფრთხე"**, – ბრძანა უწმინდესმა. მისივე თქმით, ბედნიერი ადამიანი არის ის, ვინც მორწმუნეა, მოსიყვარულეა, ცხოვრობს მომავლისა და ღვთის იმედით და ადამიანებს ენდობა.

ქადაგების დასასრულს უწმინდესმა ტრადიციულად რამდენიმე სასულიერო პირი დააჯილდოვა და რამდენიმე გვარი დალოცა.

ილუმორი

– რატომ შორდებით ქმარს?

– სადისტია, ბატონო მოსამართლე, სულ ძალით მაჭმევს ჩემს გაკეთებულ საჭმელს!

* * *

ორი დაქალი საუბრობს:

– იცი, გუშინ მეუღლეს სილამაზის სალონში წასასვლელად 200 ლარი ვთხოვე, – ეუბნება ერთი დაქალი მეორეს.

– მერე, მოგცა?

– იმ უსინდისომ შემათვალიერა და 500 ლარი მომცა.

* * *

ებრაელი მიმართავს სასიძოს:

– თუ ჩემს 20 წლის ქალიშვილს შეირთავ, მზითევში 20 ათას დოლარს მოგცემ, თუ ჩემს 30 წლის ქალიშვილს-შეირთავ, 30 ათასს მოგცემ, ხოლო თუ 35 წლის ქალიშვილს შეირთავ, 35 ათას დოლარს მოგცემ.

– 50 წლის ქალიშვილი არ გყავთ, ბატონო?

* * *

– ჭიჭიკია, ბიჭი შეგეძინა და რატომ ხარ დაღონებული?

– რა გამახარებს, თუ კაცი ხარ! სამშობიაროში – 3 კილო და 600 გრამიაო, მითხრეს. მოვიყვანე სახლში, ავწონე და ზუსტად სამი კილოა. ყველგან შენი სასწორით როგორ უნდა იარო?

* * *

ოსი მივიდა პოლიციაში საჩივლელად:

– უფროსო, გამაჩერეს ქუჩაში, "დუბლიონკას" მართმევდნენ, ხან ზემოდან მირტყეს, ხან – ქვემოდან...

– პრინციპში, გირტყეს, ჰო?..

– პრინციპში კი არა, სულ ცხვირპირში მირტყეს...

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge